645
1987

ISSN 0321-1508

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12
1987



# საქართველოს ქალი



ვარლამ გენგიურის ფოტოეტიუდი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## მოდის წელი ახალი

# აირჩიეს დირექტორი

ვარლამ გენგიურის ფოტოები



გაერთიანების გენერალური დირექტორი ზურაბ გვაზავა ესაუბრება პარტიული კომიტეტის მდივანს ქეთევან აზარიაშვილს და პროფკომიტეტის თავმჯდომარეს ნანა გოცირიძეს



საქსოვი საამქროს მოწინავე მქსოველი, კომუნისტი ციური ლონიაშვილი

სულ რამდენიმე თვის წინათ ჩვენს დედაქალაქსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც ქალები ძნელად თუ წააწყდებოდნენ მაღაზიებში ქალის კოლგოტკებს. ამ ნაწარმზე მოთხოვნილება დიდი იყო. თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისი“ ვერ აუდიოდა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებას... ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, თუნდაც, ნედლეულის მიუწოდებლობა. გაერთიანებას გენერალური დირექტორიც არ ჰყავდა...

და აი დადგა დრო, როცა თავკაცი თვით კოლექტივს უნდა აერჩია...

თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებაშიც დადგა დემოკრატიზაციის პრინციპების ხორცშესხმის ჟამი...

გამოცხადდა კონკურსი გენერალური დირექტორის ასარჩევად. კონკურსის მოწყობის თაოსანი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გახლდათ. და, რასაკვირველია, მონაწილეობდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროც. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან შეიქმნა კონკურსის შემაჯამებელი საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა კანდიდატურები, მოემზადებინა პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა განცხადება გაერთიანება „კრწანისში“ გენერალური დირექტორის არჩევის შესახებ. განცხადების თანახმად მთავარი ანკეტური მონაცემები იყო: გენერალური დირექტორის პრეტენდენტის განათლება, და თანამდებობა. ამჟამად კონკურსში მონაწილეობა ყველა მსურველს შეეძლო, თუ ხუთი წლის საწარმოო სტაჟი ექნებოდა. მაგრამ განა მარტო მუშაობის სტაჟი კმაროდა ამ დიდი, პასუხსაგები საქმიანობის გასაწევად? მხოლოდ 40 წლამდე ასაკისას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეეძლო კონკურსში მონაწილეობა. განცხადების შემდგენლებს გამორჩათ მთავარი კრიტერიუმი — მაღალკვალიფიციურობა, გამოცდილება, ხელმძღვანელობის უნარი...

საკონკურსო კომისიამ სულ 78 განცხადება მიიღო, მათ შორის, სავალალოდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამო ეს პრეტენზია არ უნდა გასჩენოდათ... ახალგაზრდული გაზეთი იუწყებოდა, რომ კონკურსი ძალას იკრებდა და კონკურსში მონაწილეთ ამით უნდოდათ გამოეხატათ თავიანთი თანადგომა ყველა იმ გრანდიოზული ცვლილებებისადმი, რომლებიც ხდება მთელ ჩვენს ქვეყანასა და კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში. თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ იწამა დემოკრატიზაციის პროცესი, მაგრამ მეორე მხრივ არც თუ სახარბიელო სურათი შეიქმნა. დირექტორის თანამდებობის მსურველების უმეტესობას არ გაუთვალისწინებია ძირითადი — გაერთიანებას თავკაცად სჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, დარგის გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტი, კარგი ორგანიზატორი და მეურნე, საქმიანი და მებრძოლი სტილის მუშაკი, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესასრულებლად ახალი გზებისა და მეთოდების ძიების სურვილით შთაგონებული.

და თუ თავკაცის არჩევის დროს დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს მეტი პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან, მაშინ დემოკრატიის პრინციპებიც გაუფასურდება...

ამიტომაც თქვა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გოგოლაძემ:

— დირექტორობის სურვილი ბევრმა ისეთმა გამოთქვა, რომელიც, რასაკვირველია, ამ თანამდებობას ვერ გაუძლვებოდა, მაგრამ ეს ახალგაზრდობის გამოუცდელობით მოხდა, სათანადოდ ვერ გამოიყენეს ჩვენს ქვეყანაში დირექტორის არჩევასთან დაკავშირებული დაგროვილი გამოცდილება.

დირექტორის არჩევის კონკურსი სამ ტურად მოეწყო... პრეტენდენტების სიმრავლის გამო პირველ ტურში კითხვარების მიხედვით სამბალიანი სისტემით შეფასება დაწესდა... ამ კითხვარებზე პასუხის შესაბამისად მეორე ტურში უკვე 12 კაცი მონაწილეობდა.

საკონკურსო კომისიამ დიდი გულისყურით შეისწავლა მეორე ტურში დარჩენილი თორმეტი პრეტენდენტის ნიჭი და უნარი, იმსჯელეს და მესამე ტურისათვის საბოლოო კონკურსისათვის შეირჩა ორი პრეტენდენტი, ერთი მათგანი გახლდათ ზურაბ გვაზავა, რომელიც გაერთიანებაში ექვსი თვე ასრულებდა გენერალური დირექტორის მოვალეობას, მანამდე კი ათი წელი ამ კოლექტივში მთავარ ინჟინრად მუშაობდა, მეორე კანდიდატურა იყო მ. გაბუნია, ეკონომისტი, რესპუბლიკის სახმომარაგების განყოფილების გამგე.

დირექტორის არჩევას გაერთიანების კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა: კოლექტივიდან შეირჩა 147 დელეგატი. ყველას შეეძლო თავისი მოსაზრება გამოეთქვა კანდიდატურების შესახებ, ოღონდ ეს სიტყვა პირუთვნელი, ობიექტური, მიუკერძოებელი უნდა ყოფილიყო. და მართლაც, ამ დღეს ყველამ იგრძნო, რომ ეს არჩევნები დაფიქრებულად, შორსმჭვრეტელურად უნდა წარმართულიყო, რადგან გაერთიანებამ დათმო თავისი მოწინავე პოზიციები, მომხმარებელს ვერ აწვდიდა საჭირო რაოდენობის პროდუქციას, ნაწარმის ხარისხიც და ასორტიმენტიც დღევანდელ მოთხოვნებს მხარს ვერ უბამდა...

კენჭისყრის შედეგად ზურაბ გვაზავას 89 ხმა დაუგროვდა, მეორე პრეტენდენტს — 51. არც იყო გასაკვირი ზურაბ გვაზავას რომ დაუჭირა მხარი კოლექტივმა — იმ პერიოდში, როცა ის გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, გაერთიანებას ჩავარდნა არ ჰქონია. ბევრი რამ გაკეთდა მანქანა-დანადგარების მოდერნიზაციისათვის, გეზი აიღეს ტექნიკურ გადაიარაღებაზე, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაზე. ქსოვის პროცესის გასაუმჯობესებლად მოწინავე საწარმოებიდან გადმოიღეს სიახლე — უჩასადგმელოდ მოექსოვათ ქალისა და ბავშვის კოლგოტკები. ამით კერვის ტექნოლოგიაც დაიხვეწა, ნედლეულიც დაიზოგა და საერთოდ ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ზ. გვაზავა დიდი მონდომებით მოეკიდა ასორტიმენტის განახლებასა და გამრავალფეროვნებას. საწარმომ ამ მოკლე ხანში სამი სახეობის ნაწარმი, მათ შორის ქალებისათვის მეტად სანუკვარი დაჩითული კოლგოტკა სიახლის ნიშნით გამოუშვა.

— დიდი ნდობა გამომიცხადა ჩემმა კოლექტივმა, მაგრამ მათ მხარდაუჭერლად მე წარმატებას ვერ მივაღწევ — აღიარა ახლადარჩეულმა დირექტორმა ზ. გვაზავამ, — ჩვენს საწარმოში ძირითადად ქალები მუშაობენ, ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. თუ ეს ამოცანა სრულყოფილად ვერ გადავწყვიტე, უფლებაც არ მექნება ხარისხიანად მუშაობა მოვითხოვო, მომთხოვნელობა კი ერთი წუთითაც არ უნდა შენელდეს. მალე დაიწყება საქსოვ საამქროში სამაცივრო დანადგარების დამონტაჟებაც. ქალთა ხელით შრომის შესამსუბუქებლად საამქროებს შორის დაიდგა პნევმოტრანსპორტი, ერთადერთი მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ახლადარჩეულმა დირექტორმა იცის, ქალმა ნაყოფიერად რომ იმუშაოს, შვილები საიმედოდ უნდა ეგულებოდეს. გაერთიანებას კეთილმოწყობილი საბავშვო ბაგა-ბაღი აქვს, მაგრამ აუცილებელია მისი გაფართოება, ესეც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

ბევრი რამ ჩაიფიქრა ახლადარჩეულმა დირექტორმა, თავისი მოქმედების პროგრამაც შეიმუშავა.

**რუსუდან გრიგოლია**

# ქართულ

სისხამი დილაა, სოფელი ადრე ილვიძებს. დალი დულაშვილის სახლის სამზადიდან კარგა ხანია სინათლე გამოკრთის და როცა ხშირდება მთის უბეში ჩაწოლილ ამ კოპწია სოფელში მამლის ყივილი, ძაღლების გნიასი და ავტომანქანების ხმაური, ის უკვე გზაზე მიდის.

ყვარლის მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობა ტერიტორიულად ყვარლის მთებშია განლაგებული. მეურნეობის ობიექტები რაიონის სოფლებშია გაბნეული — შილდაში, გავაზაში, ახალსოფელში, მთისძირში. ყველგან მათზე ზრუნვა და გამჭრიახი თვალის დევნებაა აუცილებელი. დალი დულაშვილმა ზეპირად იცის ყოველი ტყიანი თუ მთაველიანი ბილიკი, სკა როგორ დგას და დედა ფუტკარი ოჯახში როგორ ტრიალებს. ფუტკრის სიზარმაცე ვინა თქვა, მაგრამ თვრამეტი წლის განმავლობაში თვალი და გონება ისე გაიწაფა, რომ გამრჯე ოჯახის ბურჯს მაშინვე ამჩნევს. ამ გაზაფხულს ლაგოდეხის რაიონში გადაიყვანეს ფუტკარი, ცოტა ამინდმაც შეუშალა ხელი, მაგრამ მთაბარობა რომ არ ჩაუტარონ, ისე ან რა თაფლი უნდა მიიღონ, ან რა ოჯახი გამოზარდონ. საჯიშე მეურნეობაში იშვიათია ფუტკრის დაავადება და სიკვდილიანობა. აქ გამოყვანილი დედა ფუტკარი განსაკუთრებით ძლიერი, ამტანი და ნაყოფიერია.

სამი წლის წინათ ყვარლის მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობამ ხელშეკრულება დადო გორის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან და ახლა, ადრიან გაზაფხულზე, როგორც კი ხეხილს კვირტები დაებერება, ახალსახლობისათვის ემზადებიან. დიდ მანძილზე მგზავრობა უჭირს ფუტკარს, ღელავს, განიცდის, ტემპერატურაც მატულობს სკაში. ზოგი იხოცება კიდეც, მაგრამ საკმარისია ხუთი მზიანი დღე — ყველაფერი გაწონასწორდება, დანაკარგი აღდგება.

შესაშურ მოსავალს იღებენ. განსაკუთრებით ვაშლის ყვავილი უხდება ფუტკარს. 1985 წლის გაზაფხულზე გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობაში ჰყავდათ ფუტკარი. იგი ყვავილის დამტვერიანებას უწყობს ხელს და 50 პროცენტით მეტი ხილის მოსავალს იღებს კოლმეურნეობა, ასევე 50 პროცენტით გაიზარდა თაფლის მოსავალიც. მთავარი ღალიანობისათვის ისევ ყვარლის მთებში ამოჰყავთ ფუტკარი, რადგან იქაური ტყეები ოდითგანვე ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარი უბადლოა

# აგრძელებს ოჯახის ტრადიციას

ბილია ცაცხვითა და წაბლით. რა ესწავლება მთავარ ზოოტექნიკოსს, როცა მას დიდი ხნის მეფუტკრედ მუშაობის სტაჟი და თეორიულ-მეცნიერული განათლება აქვს და ამას ემატება ოჯახური ტრადიცია — მამა ცნობილი მეფუტკრე ჰყავდა (თუმცა თვალით არ უხილავს მშობელი). როცა დაიბადა, მამა იმხანად დაიღუპა. ახალსოფლის მთაში ერთი ადგილია, საცხენისს ეძახიან. იქ ჰქონია მშობელს საფუტკრე. უდროოდ დაქვრივებულ დედას ქალიშვილის დაბადებამ გულში გაკენწლა, ბიჭი მაინც ყოფილიყო ეს მეოთხე შვილიო, მაგრამ ბებიას დაულოცავს — გაუშვი, იქნებ სასახელო ქალი გაიზარდოსო. დალი დულაშვილისათვის ასე დაიწყო სიცოცხლის პირველი დღე ამ ქვეყანაზე. მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი დრო გავიდა და დღეს ყვარლის მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს, ახალსოფლელ დალი დულაშვილს მთელი რაიონი იცნობს, როგორც მუყაით, ენერგიულ, თავისი საქმის კარგ მცოდნე სპეციალისტს. ადვილი არ იყო მისი ცხოვრება, ობლობიდან მოყოლებული ხშირად უსაშველოდაც გასჭირვებია. არც ორი ვაჟის დედობა, დიდი ოჯახის მოვლა-პატრონობა, და ერთდროულად უმაღლესის წარჩინებით დამთავრება იყო ადვილი, მაგრამ ისევ და ისევ დიდმა შრომისმოყვარეობამ გაიმარჯვა.

რამდენიმე წლის წინათ მის საქმიანობასა და კაი ქალობაზე წერდა საკავშირო დარგობრივი ჟურნალი „პჩელოვოდსტვო", არც გაჰკვირვებია ვისმე ესოდენ დიდი ალიარება.

მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობას მთის რუხი ქართული ფუტკარი ჰყავს. წლევანდლამდე მხოლოდ ამანათნაყარს და სარეალიზაციო თაფლს აწარმოებდნენ. წლეულს კი დედა ფუტკრის გამოყვანაც დაიწყეს. აქამდე ყოველწლიურად 12 ტონანახევარ თაფლს იძლეოდნენ. წლეულს კი 13 ტონა თაფლი მიიღეს, 1050 სარეალიზაციო ამანათნაყარი და 577 ახალი ფუტკრის ოჯახი შექმნეს, 130 კილოგრამი ცვილი და 27 კილოგრამი დინდგილი ჩააბარეს სახელმწიფოს. ეს ყველაფერი ცოტა როდია, ადვილად როდი შესრულდება, თუ გული არ დაუდეს საქმეს, არა და, ამინდიც რომ საშინლად ჭირვეულობს! უჭირს ფუტკარს. და აი, ახლა სჭირდება სიმარჯვე მთავარ ზოოტექნიკოსს, მეთერთმეტე ხუთწლედის დამკვრელს, პარტორგს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს. ყოველ გაუთვალისწინებელ დეტალზე სწორად უნდა რეაგირება. დალი სკაში რომ ჩაიხედავს, დედის კი არა, მთელი ოჯახის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განწყობილებას ამჩნევს. ზოგჯერ, როცა საჭიროა, საკუთარი რწმენით, გამოცდილებით იცის საქმის სასიკეთოდ შემობრუნება. თუ ფუტკარზე ჩამოუგდებთ სიტყვას, სახე გაუნათდება და გეტყვით:

— ქართული მთის ფუტკარი უბადლოა მთელს მსოფლიოში, ჩვენი საშვილიშვილო ვალია მისი მოლონიერება, გავრცელება, პოპულარიზაცია. უცხოეთში იტალიური ჯიშის ფუტკრის გვერდით ინტენსიურად მისდევენ ქართული ჯიშის ფუტკრის მოშენებასა და გამრავლებას.



მეურნეობის დირექტორი შოთა გალაძე და ზოოტექნიკოსი დალი დულაშვილი

მზია ჭიჭიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედაშვილობა

## ნამდვილი ამბავი

სოფელი დიდი იყო და თავიდან ბოლომდე რომ დაგევლო, კარგა ერთი საათი მაინც უნდოდა. თომაანი ომამდე სოფლის ცენტრში ცხოვრობდნენ. ამ ადგილს ყველანი „ბაზარს“ ეძახდნენ. კვირაობით სოფლის გარეთ დიდი ბაზრობა კი იმართებოდა, მაგრამ ცენტრში პატარა დახლები იყო გამართული და ყოველდღე რაღაც იყიდებოდა, უფრო პამიდორი, კიტრი თუ ხილეული. იქვე, „ბაზართან“, ეკლესიის ყურეში თომაანთ დაედოთ ბინა.

ძველი სახლი იდგა. ამბობდნენ, საუკუნენახევრისააო. მის ახლოს ციხე-სიმაგრის ნანგრევები იყო, თამარის ციხეს ეძახდნენ. იმ ციხის ეზოში დაიზარდნენ თომაანთ ბავშვები. თალალეს ქმარი ადრე მოუკვდა, სულ რაღაც ოცდახუთისა იქნებოდა მაშინ. ორი ბიჭი დარჩა, ობლობა არცერთს არ აგრძნობინა. პატარა ვენახს სანახევროდ აძლევდა, ზაფხულობით ნაყანევში ბიჭებს გაირეკავდა, თავთავსა ჰკრეფდა. და ასე ყოველ წელიწადს ილეწებოდა კალო. ეზოშიც მუდამ ქათმები და ორიოდე ბურვაკი დაუდიოდა. უჭირდათ, მაგრამ მაინც ბევრი ზარმაცი კაცის ოჯახზე უფრო მომძლავრებული იყვნენ.

კაცის საქმეებს ეჭიდებოდა თალალე და უყვარდა თქმა:

— პურიც მე ვარ, წყალიც მე ვარ, წისქვილიც მე ვარ...

უფროსი ვაჟი — ლუკა ფრონტზე დაიკარგა. უმაღლესი რომ დაამთავრა, იმ წელიწადს ატყდა ის საბედისწერო ავ-ქარი. პირველი დღიდანვე გაცხარებულ ბრძოლაში მოხვდა. ომი რომ დამთავრდა, მისი არაფერი ისმოდა, უბრალო დეპეშაც კი არ მიუღიათ. მაგრამ ყველა მიხვდა, რომ მისი ასავალ-დასავალი აღარსად იყო.

ერთი შვილის ანაბარა დარჩა თალალე. ნიკას ეძახდნენ. სწავლა ვერ მიაღებინა, მაგრამ გამრჯეობით არავის ჩამორჩებოდა. ვენახის კარგი მუშა დადგა. წამლობას, ფურჩნას თუ ქირქის გამოცლას ზვარში ვერავინ დაასწრებდა. მის ვენახში შალაფა და კლანჭა არავის უნახავს, სულ დაკრიალებული ჰქონდა. ადრეულა კიტრი და პამიდორიც პირველად იმას მოჰყავდა.

ომი რომ დაიწყო, ნიკა მცირეწლოვანი იყო, მშვიდობიანობის დროს მოიხადა სამხედრო ვალი. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ორიოდე ღერი რუსული და კალატოზის ხელობა ჩამოიყოლა. იქ მუშათა ბატალიონში ყოფილიყო და მშენებლობაზე ემუშავა. იმდენი იმარჯვა, ორსართულიანი სახლი წამოჭიმა, დაცოლშვილდა კიდეც. სახლი სოფლის ბოლოს, შიგ ვენახში აიშენა. ბევრი კიცხავდა, იქ რად დასახლდი, სასაფლაოსთან ახლოსო, მაგრამ სოფელმა თანდათან ქვევ-ქვევით ჩაიწია და ნიკას სახლსაც აგრე გასაკილავად არავინ ახსენებდა.

თალალე და მისი ქოხმახი? ცოდვას ვერ ვიტყვით, შვილი ეხვეწა, ახალ სახლში გადმოდიო, მაგრამ ცივ უარზე დადგა.

— რას ამბობ, შვილო, როგორ დავაგდო ეს ჩემი ეზო-ყურე, ლუკასა და შენი ნატერფალი! როგორ ამოვძირკვო ჩემი ყმაწვილქალობა და თქვენი ბავშვობა! ამ ძველ სახლში, საწნახელ-მარანში ჩემი და მამაშენის ოფლია ჩაწურული.

იმ ნესტიან ქოხს, აბა, რა სახლი ეთქმოდა, საწნახელი და მარანიც დანგრეული იყო. ომის დროს რომ გაუჭირდათ, ქვევრები გაყიდეს. ცოტაოდენ ყურძენს, რაც მონახევრისაგან ერგებოდათ, მეზობლის მარანში წურავდნენ სამადლოდ.

— აქაურობას შეჩვეული ვარ, შვილო, თანაც რძალთან შეხლა-შემოხლას ჩემს ნაჭუჭში მირჩევნია ყოფნა, — ამბობდა თალალე.

რძალმაც ბევრი აღარ ითავპატიჟა:

— იყოს, რა გინდა, ძალიან კი მოხუცდა, მაგრამ თავისთავს თვითონ მიხედავს, ხანდახან ჩვენც ამოვაკითხოთ.

ასე დარჩა თალალე ძველ სახლში. ვერ ვიტყვით, ნიკას დედა არა ჰყვარებოდეს. როგორ არა, საჭმელ-სასმელს უგზავნიდა, ხან თვითონ თალალეც ესტუმრებოდა შვილსა და შვილიშვილებს. კალთის ჯიბით ჩამიჩი და ლელვის ჩირი მიჰქონდა და ურიგებდა ბავშვებს. რძალი სიცილით კვდებოდა:

— ხედავთ, თალალე ბაბომ რა შოკოლადები მოგიტანათ!

თალალეს ეს სიტყვა სწყინდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ოღონდ მხრების ოდნავ კანკალი დასჩემდა, ამ დროს უფრო მოუმატებდა, რძალიც ქილიკს მოუხშირებდა:

— აგერ ჩვენი თალალე ბაბო პანტომიმის თეატრის მსახიობს არა ჰგავს?

თალალეს არც გაეგონა, რა იყო პანტომიმა და ეს სიტყვაც ეგრერიგად არა სწყინდა. ეს კია, შვილის ოჯახს მალე გაეცლებოდა და ისევ თავის ქოხმახში შეიბუდრებდა. გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა, „პანტალიმონა“ რა არისო...

განა არ უყვარდა ნიკას თავისი მრავალნატანჯი დედა! იტყოდა ხოლმე, იმისი გრილო ნუ მოგვშლოდესო. მაგრამ ცოლის შეგულიანებით ხანდახან კიდეც ავიწყდებოდა, რომ დედა ჰყავდა. ზოგჯერ თვე ისე გავიდოდა, აღარ მოიკითხავდა, ხორაგს სხვისი ხელით გაუგზავნიდა და თვითონ კი კოლექტივისა და საკუთარ ვენახში კუკუნებდა.

— რა ვქნა, ეგრე ყოფილა, — ამბობდა ნიკა, — დედაჩემი ოთხმოცისა მოიყარა, ნეტავ მეც იმდენი ვიცოცხლო...

ცოლიც დაუმატებდა:

— რაღა დროს შენი დედაა!

ძალიან კი დაეღარა სახე საწყალ დედაბერს. თავის ძველ სურათს გადმოიღებდა, სარკეში ჩაიხედავდა და მეზობლებთან ჩიოდა:

— აბა, მაშ ასეთი ვიყავი?

ან ვინღა იყო მისი ახალგაზრდობის მომსწრე და განმკითხავი. მისი ხნისანი თითქმის ყველანი გაკრეფილიყვნენ იმ გრძელ ქვეყანას. მაინც გულს უკეთებდნენ:

— ეჰ, რა ქალი იყავი, თალალე, შენისთანა უბანში არ დადიოდა! შენ რომ სპილენძის თუნგით აივლ-ჩაივლიდი, უბანს ლაზათს აძლევდი.

გულს ეფონებოდა ამ სიტყვებზე და შესიებულ ქუთუთოებზე ცრემლი აუელვარდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილთანაც აგრე ხშირად აღარ მიდიოდა. ცოტა თავმოყვარეც იყო. თუ არ დამპატიჟეს, ისე არ მინდაო. რა დაპატიჟება უნდოდა, მაგრამ მოხუცებულობაშიც სიამაყეს არ კარგავდა. შვილთან კი მისი მიპატიჟება არავის მოსვლია აზრად.

ერთხელ... სწორედ ეს ერთხელ იყო, დაბერებულმა გულმა დედაშვილობაში წლობით შენახულ შვილის სიყვარულს ნაღვლი რომ მაინც არ წააყარა, სხვათა თვალში უფრო აკამკამა. თალალემ იგრძნო, რომ რაც უნდა მოხუცდეს, რაც უნდა შვილმა წყენა მიაყენოს, მისი სიყვარული მაინც ჩაუნავლავი და ჩაუფერფლავია. ჰოდა, ერთხელ, როცა ნიკა სამოცი წლისა გახდა, მისმა ცოლმა დაიჩემა, დაბადების დღე უნდა გადაგიხადოო.

— დედაკაცო, გაქრა ჩემი დაბადების დღე, თავის დღეში არ გადამიხდია და ახლა გინდა გადამიხადო? — გაუკვირდა ნიკას.

— მრგვალი თარიღია, — არ იშლიდა ცოლი, რომელსაც ცოდნა ძირითადად გაზეთების მეოთხე გვერდიდან ჰქონდა მიღებული, — ვერა ხედავ, ვისაც კი სამოცი წელი შეუსრულდება, როგორი ზეიმით აღნიშნავენ? თუ იმათზე ამბობენ, კარგი მეცნიერი და მწერალიაო, შენ კიდევ კარგი მთოხნელი მუშა ხარ.

მოზრდილი ცხვარი იყიდეს. ალაზნის მურწითა და ჭანარით, ნაირ-ნაირი საჭმლით დაამშვენეს სუფრა და მთელი უბანი აქეიფეს. როცა ნიკამ ცოლს უთხრა, დედაჩემიც ჩამოვიყვანოთო, ცოლმა შეუბღვირა:

— სუ! ამ რჩეულ ხალხში ის დაჩამჩამებული დედაბერი როგორ გამოვაჩინოთ! თუ თვითონ ჩამოვიდა, სადმე კუთხეში დავსვამ, სუფრაზე არც კი გამოვაჩენ.

დედის სადღეგრძელო დიდი ამბით დალიეს. ვიღაცამ კიდეც იმღერა, „დედი, ჩემო ტკბილო დედი“. ხალხს თვალებზე ცრემლი მოადგა, რა გრძნობიერი სიმღერააო, თალალე კი არავის მოუკითხავს.

მეორე-მესამე დღეს ვინმე ნაცნობი ჰკითხავდა თალალეს:

— შენმა შვილმა ცხვარი დაკლა და იქ იყავი?

— როგორ არა, იქ ვიყავი, — ტყუილს მოიგონებდა თალალე, — შვილი როგორ გამომწირავდა! ჩემი ქმრის სულის განათლებამ, იქ ვიყავი, ხელიც წავახმარე და მერე ამოვედი სახლში... მუხლები აღარ მივორგა, ქა, დიდხანს სხვაგან ყოფნას ვერ ვიტან.

შვილის სიყვარულით ატყუებდა ხალხს და თავსაც იტყუებდა.

დედაშვილობაში დედის გული რად გადასძლევს ხოლმე იმ სასწორს, სადაც მშობლიური გრძნობა იწონება? ჰო, გადასძლევს ხოლმე, არა მისხლობითა და გრამობითა, არამედ კარგა მოზრდილი საწონითა. ეს ის საწონია, დედას რომ არასოდეს უკარგავს შვილის სიყვარულს, მისი სიკეთისათვის მარადიულ ლტოლვას.

სტეფანე მხარგრძელი

# ქართული ლიტერატურის მთარგმნელი



სალამი და მადლობა
მივესალმები
ჟურნალ „საქართველოს
ქალის“
მკითხველებს
მერიკე პაუ
1987, ტარტუ

ცნობილი ესტონელი მთარგმნელი ქალის მერიკე პაუს სახელი დღეს უკვე ცნობილია ქართული ლიტერატურის მოყვარულთათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა მერიკემ ძალა და ენერგია არ დაიშურა, რათა ჩვეული ოსტატობით ეთარგმნა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ესტონელთა ბიბლიოთეკას ამშვენებს ნ. ბარათაშვილის, დ. ჭონქაძის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის, გ. შატბერაშვილის, ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, თ. ჭილაძის, ო. ჭილაძის, ჭ. ამირეჯიბის, ა. სულაკაურის, გ. ფანჯიკიძის, რ. მიშველაძის, მ. მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, რ. ჭეიშვილის პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. მანვე თარგმნა მრავალი ქართული პიესა, მათ შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად ო. იოსელიანის, გ. ხუხაშვილისა და ა. ჩხაიძის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მართლაც ტრიუმფული წარმატება ტარტუს ვანემუინეს აკადემიურ თეატრში (რეჟ. ეპ კაიდუ). ახლაც თვალწინ მიდგას სამხრეთ ესტონეთის სოფლებიდან სპეციალური ავტობუსებით ჩამოსული მაყურებლები, რომლებისთვისაც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა პიესაში დასმული ურბანისტული პრობლემები. სხვათა შორის, ორიგინალურად გაფორმებულ მხატვრულ პროგრამას თან ახლდა ანკეტაც, რომელშიც მაყურებლებს დაბეჯითებით სთხოვდნენ, ეპასუხათ დემოგრაფიისა და მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებულ სხვადასხვა შეკითხვებზე... აი ასეთ ორიგინალურ ხერხს მიაგნეს ესტონელმა სოციოლოგებმა, რათა შემდეგ მყუდრო სამეცნიერო კაბინეტებში თეატრალური ემოციების გარეშე გაეანალიზებინათ მათთვის საჭირო საკითხები. და რაოდენ სასიხარულოა, რომ სწორედ ქართველი დრამატურგის პიესა მიიჩნიეს მრავალრიცხოვან მაყურებელთა „გულის გასაღებად“. ეს პირველ რიგში, ჩვენი სახელოვანი მთარგმნელის, მერიკე პაუს დამსახურებაა.

კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს კეთილ მეგობარს!

ამირან კალაძე

# ჩვენი წლევანდელი იუბილარები

მათ საქართველოში იცნობენ, უყვართ და პატივს სცემენ.

ლილი ნუცუბიძე სავარდო და სამაისო ქუთაისის მკვიდრია.

ქსენია მჟავია — ქათქათა ბათუმისა.

მრავალმხრივია ლილი ნუცუბიძის ტალანტი: ლირიკულ ლექსებთან ერთად იგი ქმნის ლექსებს ბავშვებისათვის, სკოლამდელი ასაკისათვის, არის დრამატურგი, პუბლიცისტი, დიდ მონაწილეობას ღებულობს კულტურულ ცხოვრებაში, არის მხნე და ვაჟკაცური, ზრუნავს ადამიანებზე, თავდაუზოგავად იღწვის მათი კეთილდღეობისათვის. მისი მშვენიერი ლექსები კი ათბობენ და ამაღლებენ ჩვენს სულსა და გულს, და, რაც მთავარია, უგალობენ სამშობლოს, საფიცარ საქართველოს!

ქსენია მჟავიას ლექსთა კრებულს შავი ზღვისპირეთის სუნთქვა ასულდგმულებს, მისი წვიმა და მისი მზე, თითქოს ფიქრიანი, მყუდრო და უპრეტენზიოა ეს ლექსები. „მე ჩემეული ფიქრებით ვხარობ, — აღნიშნავს პოეტი და ასევე ფიქრიანად ათბობს მკითხველის გულს...

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს პოეტ ქალებს სამოცი წლის იუბილეს და უსურვებს ბედნიერებას, წარმატებებს.**



## ლილი ნუცუბიძე

### ეს ჩემი საქართველოა

აქეთ — მაღალი მთებია,
იქით — ბიბინა ყანა,
ეს ჩემი საქართველოა,
საითაც მინდა წავალ...

ცივგომბორი და ზეკარი,
ვრცელი ალაზნის ველი,
გრემი და სვეტიცხოველი
ჩემია ყველაფერი.

იქით — ლილეო გუგუნებს,
აქეთ — ურმული ისმის,
ზეცის ცხრა კარი იხსნება,
ზარი ჩამოჰკრავს ცისკრის.

აქეთ — მაღალი მთებია,
იქით — ბიბინა ყანა,
ეს ჩემი საქართველოა,
საითაც მინდა წავალ...

### დედაენა

დედაენა, სიბრძნის წიგნი,
მოჩუხჩუხე ცხრა წყარო,
აი ია, აი თითი,
აი, მთელი სამყარო.

დედაენა, სიტყვის კონა,
მზის სხივებით დართული,
დაშაქრული, დათაფლული,
დედაენა ქართული.

სულ უჭკნობი გაზაფხული,
ყვავილების შრიალი,
ბულბულების ფრთების გაშლა,
სალამურის წკრიალი.

ათას ჭირში გამოვლილი,
ჩვენი ჭირი და ლხენა,
მალხაზების ფეხის ადგმა,
თვალის პირველახელა.

ვინ გვასწავლა სიყვარული
მშობლიური მთა-ველის,
ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვატარა
მიწის ყველა მტკაველი.

ვინ გვასწავლა სიყვარული
ყანების და ზვრებისა,
ვინ დალოცა ვაზის ძირი,
შუქი გათენებისა.

მამა-პაპის სიყვარული
ვინ გვასწავლა პირველად,
ჭირსა შიგან გამაგრება, —
ქვეყნის გასაკვირვებლად.

და რკალივით შემოევლო
ჩვენი ქვეყნის კიდე-განს,
აკვანშივე დაგვაფიცა
საქართველოს დიდება.

დედაენას, დედასავით
მოფერება სჭირდება.

ვინ წაგვკიდა რუსთაველის
სიყვარულის ალმური,
ასე ძლიერ ვინ გვასწავლა
სიყვარული მამულის.

დედაენა, კვლავ რომ ინთებს
მკერდზე ცეცინათელებს,
ამ განძს თუ არ მოუარე,
ისე ვერ იქართველებ.

დედაენა, სიბრძნის წიგნი,
მოჩუხჩუხე ცხრა წყარო:
აი ია, აი თითი,
აი, მთელი სამყარო.

ეროვნულ
ბიბლიოთეკ



## ქსენია მჟავია

* * *

მავანთ და მავანთ აღარ ვახსოვარ —
მეგობრებსაც და სახლისკაცებსაც,
ვისი ღიმილიც სულს ჩამექსოვა,
თვალს მიხარებდა და გულს მტაცებდა.

თუმც დარდის ჭია აღარ მასვენებს,
მაინც არ მინდა ვინმეს მივწერო.
ვინც დამივიწყა, თავს არ ვახსენებ,
ნეტა სიკვდილმაც არ გამიხსენოს!

* * *

მე ჩემეული ფიქრებით ვხარობ,
ოცნებას ცისფერ აფრებად გავშლი,
წამოდი, ზღვაში კენჭები ვთვალოთ,
მაგრამ, თუ გიჯობს, ნაპირზე დარჩი.

ვუსმინოთ ქართა საამო ჟღერას,
გულში სინათლედ აგვინთებს კოცონს,
მინდვრის ყვავილებს დაგიკრეფ ფერადს,
მაგრამ შენ იქნებ ყაყაჩო მოგწონს?

თუ გამიმჟღავნებ ნატვრას და სურვილს,
შენს შესაწირად მავედრე გამჩენს,
უკვდავების წყალს მოგართმევ სურით,
მაგრამ შენ იქნებ წყაროს წყალს არჩევ?

* * *

მესიზმრა: ბავშვი გავედი ველად
და შენთვის ვკრეფდი ვარდებს მეწამულს.
არა, სიზმარის არასდროს მჯერა,
ეს სიზმარი კი მინდა ვიწამო.

სასწაულებიც ხანდახან ხდება:
ცა ჩამოგაფენს მთელ მის სინაზეს,
ხე გაგიღიმებს,
(ხან შემოგწყრება),
ჩიტი მოგძახებს კაცის ენაზე.

ისევ მოგაგნებს გაზაფხულები,
როცა ყოველი, ფიქრობ, მოთავდა...
მიტომაც გვჯერა სასწაულების,
გაგვიადვილოს ყოფნა მოკვდავთა.

# პოეტი, შვილი და დედა



ქართველ საბავშვო პოეტს მუშანა მგელაძეს 70 წელი შეუსრულდა. ხუთი ათეული წელია მისი სადა, გულწრფელი ლექსები ქართველთა ოჯახებში დასახლებულა და პატარებს გონებას უვარჯიშებს, მეტყველებას უმდიდრებს, გრძნობას უფაქიზებს, ოცნებების სამყაროში დაატარებს. თავადაც პატარა გოგონა იყო მისი პირველი ლექსი ჟურნალმა „ოქტომბრელმა" რომ გამოაქვეყნა. პოეტური ნიჭი მას დედისგან მოსდგამს. ცნობილი ქართველი მწერალი საფო მგელაძე ზოგჯერ დადარდიანდებოდა კიდეც იმის გამო, რომ მისმა ქალიშვილმა ცხოვრების მიზნად სამწერლო მოღვაწეობა აირჩია. დედის სულიერი მღელვარებაა ჩაქსოვილი მის დღიურებში, როცა იგი შვილის მომავალზე ფიქრობდა:

„გუშინ სკოლაში მუსიკალური დილა იყო. წავედი მასწავლებლების სანახავად და დავესწარი ამ დილას. მუშანას დაუწერია ლექსი „მათხოვრის ფიქრები მუსიკის ხმებზე". გამოვიდა, დაიწყო ლექსის თქმა და ისეთი გრძნობით, ისეთი სინაზით გადმოიშალა ქუჩის კუთხეში მიგდებული მათხოვრის ფიქრები, ისეთი კეთილი, სათნო და ანგელოზის ღიმილით დაამთავრა ეს ლექსი, რომ ცრემლები ვერ შევიმაგრე. მე შემეცოდა ეს ბავშვი, მე ვიცი, როგორია მწერლის ბედი და რა იმედი მაქვს ვიფიქრო, რომ მისი ხვედრი უკეთესი იქნება.

...ჩემო შვილო, შენ გაქვს პოეტური ნიჭი, მაგრამ გაკლია დედაშენის ნებისყოფა. მე შემიძლია რამდენიმე საათის განმავლობაში ჩავუჯდე სამუშაოს და გარეთ არ გავიდე. შენ კი საათობით ჯდომა გეზარება. შენ უსათუოდ გაქვს ნიჭი და შენგან კარგი მწერალი ქალი გამოვა, თუ მოინდომებ, მაგრამ შენ რატომღაც საამისო სურვილი არა გაქვს. მეც არ გატან ძალას. გზა, რომელიც მე განვვლე, ისეთი ძნელი იყო, შენ გაგიჭირდება ამ გზებზე სიარული, თუმცა კი მინდოდა ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის შემდეგ ჩემ შვილს განეგრძო ჩემი გზა, განეგრძო ჩემს მიერ დაწყებული საქმე“.

და დედის საქმე შუშანა მგელაძემ გააგრძელა.

დღეს ჩვენს იუბილარს, ბევრი კარგი ლექსის ავტორს, არ აკლია საზოგადოების პატივისცემა. გარდა ამისა, მას იცნობენ, როგორც სამი ნიჭიერი ქალიშვილის დედას.

უფროსი ქალიშვილი იზოლდა ჩხარტიშვილი გახლავთ, რომლის მონოგრაფია „ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ გამოირჩევა აქტუალობით, საკითხების გაბედული დაყენებით და გადაწყვეტით, დამუშავების მეცნიერული დონით.

მხატვარ-გრაფიკოსი ელისო ცაბაძე გარეგნულად ტყუპისცალივით ჰგავს სახელოვან ბებიას. 1964 წელს მისი 13 ნამუშევარი ჩილეში გაიგზავნა. „ავტორი განსაკუთრებით კარგად ფლობს ფერებს და მათ მეტად ორიგინალურად და კარგად აღიქვამს“ — ასეთი შეფასება მისცა ლადო გუდიაშვილმა ელისო ცაბაძის, როგორც მხატვრის შესაძლებლობას.

სოფიკო ცაბაძე, შუშანა მგელაძის მესამე ქალიშვილი ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებელი და საფორტეპიანო დუეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ბევრ ნაწარმოებში საკუთარი ინტერპრეტაციის უნარს ავლენს და ხიბლავს მსმენელს ანსამბლურობით, სიზუსტით, ორიგინალურ ხელნაწერასთან თამამი მიახლოებით.

ნიჭიერი ქალიშვილების ასე შთამბეჭდავად, შემოქმედებითად წარმოჩინება დედის, ქალბატონ შუშანას თავისებური აღზრდის, ხელშეწყობისა და დახმარების შედეგიცაა.

თავად ჩვენი იუბილარი კი კვლავ აგრძელებს ნაყოფიერ პოეტურ შემოქმედებას. სამშობლოზე, ღრმა, ფაქიზ ადამიანურ გრძნობებზე გვესაუბრება პოეტი ქალი თავის ლექსებში, რომლებიც მკითხველის მოწონებით სარგებლობს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ორ ლექსს, რომლებიც შუშანა მგელაძემ თავის იუბილის დღეებში დაწერა.

ლია ნინიძე

შუშანა მგელაძე

## ჩემი გული

გული ისე ფრთხიალებს,
როგორც ჩიტი პატარა,
ამ ჩიტუნამ ცხოვრების,
გზები გადამატარა.

გაზაფხულის ვარდები,
ხელში დამაჭერინა,
სადიდებლად მამულის,
ლექსი დამაწერინა.

ახლა მკერდში ჩავკეტე,
არ გავუღე სარკმელი,
დაიცადოს ჩიტუნამ,
ჯერ ბევრი მაქვს სათქმელი.

## თქვენსკენ მომავალ გზაზე

თან მიშველა ველ-მინდვრად,
ჩემი კალოს გაფენა
და მომასწრო ერდოდან
შვილიშვილთა აფრენა.

ომის ცეცხლში გამოვლილს
გამარჯვება ელირსა,
ისიც ერთი წევრია,
ამ დიადი ქვეყნისა.

მომაქროლებს მანქანა,
ქარი მეალერსება.
თქვენი ნახვის სურვილმა,
მთლად მაქცია ლექსებად.

მდუმარების ბურანში,
გახვეული ველები,
ერთად გადახლართული
ჯარი კურკანტელების.

თითქოს მიიმღერიან,
გზებზე თეთრი თელები,
დგანან შრომის აღმართთან
ჩემი ლანჩხუთელები.

ჩემი ყრმობის სიზმარი —
ჯურუყვეთი, ეწერი,
მეც ხომ თქვენი წვეთი ვარ,
მეც ხომ ჭაპანს ვეწევი.

მინდა ჩემი გჯეროდეთ,
მინდა თქვენი მჯეროდეს,
გამარჯვების დროშები,
მუდამ მაღლა გჭეროდეთ.

ჩემი ეზოს ვარდნარი,
ჩემი სოფლის ვერხვები,
სიყვარულით დამდნარი,
ყველას გკოცნით, გეხვევით.

დედაქალაქის მწვანე მშენებლობა

# რაც ყველას ევალება!

ჩვენს დედაქალაქში მწვანე მშენებლობის სამუშაოთა მზარდი ტემპის მიუხედავად საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების განაშენიანება საგრძნობლად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქს და მათ შორის კლიმატურად მკაცრ პირობებიან ქალაქებსაც (ქ. დნეპროპეტროვსკმა გამწვანებასა და მეყვავილეობაში იუნესკოს უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა).

ვინც მცენარეთა მოვლა-მოშენებაზე არ ზრუნავს, ის არც თავისი შვილებისა და შვილთაშვილების მომავალზე ფიქრობს. ის რა მამულიშვილია, ვისაც ხე არ დაურგავს, ვაზი არ უხარებია, ვარდ-ყვავილს არ მიფერებია.

საქართველო უტყეოდ და უბაღვენახოდ ეროვნული ტრაგედია იქნებოდა.

თბილისში ყოველწლიურად უამრავი ხე და ბუჩქი ირგვებოდა, ყველას რომ ეხარა, ახლა ალბათ გაუვალი ტყეები გვექნებოდა, მაგრამ ნარგავების უმეტესი ნაწილი სახლმმართველობების განმგებლობაშია, რომლებიც სათანადოდ ვერ უვლიან, თუმცა სიმართლეც უნდა ითქვას, მცენარის მოსავლელად უნდა გაისარჯონ ყველა მოქალაქე და ბავშვებიც კი.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ სატელეფონო და ელექტროხაზების, პროჟექტორების და სპორტული იარაღების დასამაგრებლად ხეებს იყენებენ, ისიც ხშირად ხდება, რომ მწვანე ნარგავების ხარჯზე ლოჯიებსა და აივნებს მიაშენებენ ან გააფართოებენ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აბა გადახედეთ თბილისის აივნებს?

აივნებზე მოწყობილი საყვავილე გეჯების უმრავლესობა ცარიელია, არც მობინადრეები და არც სახლმმართველობები მათ გამწვანებაზე არ ფიქრობენ, განა ასე ძნელია მათი გამოყენება?

დეკორატიული მცენარეები გარდა ესთეტიკურობისა, სისუფთავის, ჯანმრთელობის და სიგრილის წყაროა.

თბილისს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები აქვს იმისათვის, რომ იგი ნამდვილი ბაღნარი და თვალწარმტაცი წალკოტი იყოს. ამიტომ ჩვენი ქალაქის კომპლექსური განაშენიანება და მწვანე მშენებლობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ყველა საცხოვრებელს ჰქონდეს მზის, სივრცის, სუფთა ჰაერისა და მწვანე ნარგავთა და დეკორატიული ყვავილების მაქსიმუმი. ამისათვის კი საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა ვიცოდეთ მცენარეულის ფასი და ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მწვანე ნარგავების გასახარებლად.

**ირაკლი ხმალაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**



დ. იაკობაშვილის ფოტო

# „წიგნის დედა“

ქალბატონი მერი მელაძე 1921 წლიდან მუშაობს ამ მშვენიერ, დიდებულ და ყოველი ჩვენთაგანისათვის საამაყო შენობაში — კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

ცოტა რამ ისტორიიდან: 1846 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა ქართველ ხალხს საჩუქრად გადასცა თავისი მდიდარი, უნიკალური ბიბლიოთეკა. აქედან ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ეროვნული წიგნთსაცავის შექმნას. ბიბლიოთეკა პირველად მოთავსდა ახლანდელი ძნელაძის და ჯორჯიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობაში (კარგი იქნება ამ შენობას გაუკეთდეს მემორიალური დაფა). შემდეგ ბიბლიოთეკამ რამდენჯერმე იცვალა ბინა, ხოლო 1929 წელს კი საბოლოოდ დასახლდა იმ შენობაში, რომელიც ადრე დიდი ილიას თაოსნობით დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკისათვის იყო განკუთვნილი. ეს შენობა უნიკალური და ერთ-ერთი საინტერესო ნაგებობაა არქიტექტურის თვალსაზრისით (მისი არქიტექტორი გახლავთ ა. კალგინი), ხოლო შენობის გვერდის ფასადზე ამოკვეთილი დავით აღმაშენებლის ბარელიეფი კი ერთადერთია ამ სახის გამოსახულებათა შორის ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ყოველთვის იყო ქვეყნის კულტურული ცხოვრების შუაგულში და წარმატებით ასრულებდა თავის მაღალ მისიას.

ცნობილია, რომ რევოლუციის მღელვარე წლებში ქართველი მარქსისტები სწორედ აქ დაცული უნიკალური წიგნებით სარგებლობდნენ, ეცნობოდნენ რევოლუციის დიად გაკვეთილებს, სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ ბიბლიოთეკაში ინახება დიდი მოაზროვნისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი, რომელიც ფრიად საინტერესო და მრავალფეროვანია.

მერი მელაძის მოგონებიდან: — რევოლუციის წლები მამაჩემის მონაყოლით უფრო დამამახსოვრდა, ვიდრე საკუთარი შთაბეჭდილებით, რადგან მაშინ 14-15 წლის ქალიშვილი გახლდით, თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის ფრიადოსანი მოსწავლე; მე და ჩემს დას ძალიან გვიყვარდა წიგნები და მუსიკა, კარგად ვუკრავდით როიალზე, და როგორც ამ ასაკის გოგონების უმრავლესობა, რომანტიული იდეებით ვიყავით გატაცებული. მამაჩემი მაშინ ბაქოში მსახურობდა და რევოლუციონერების დიდი შემწე, მფარველი და მეგობარი იყო, ქართველ მარქსისტებს სწორედ მასთან ეგულებოდათ საიმედო და საიდუმლო თავშესაფარი. მამა გიორგი სტურუას ერთგული მეგობარი გახლდათ, მუდამ მხარში ედგა მას და მზად იყო დახმარებოდა დევნილ რევოლუციონერთა დამალვა-გადაყვანასა და პროკლამაციების გავრცელებაში. როგორც ვიცით, ერთხელ გიორგი სტურუამ მამას ბაქოში დასამალად გაუგზავნა თავისი ძმა და თანამებრძოლი, ცნობილი რევოლუციონერი ვანო სტურუა. მამამ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა მას, რის გამოც გიორგის დიდი მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა.

მამაჩემის მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რევოლუციის მტრებს. ჯერ იყო და მეთვალყურეობა დააწესეს მასზე, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებაზე, ხოლო 1918 წელს მოკლეს.

მამა ერთ-ერთი იყო მოწინავე იდეებით გატაცებულ იმ ადამიანთა შორის, რომელთაც დაუნანებლად მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე რევოლუციის სამსხვერპლოზე და ჩუმი, უპრეტენზიო საქმიანობით დიდად შეუწყვეს ხელი რევოლუციის გამარჯვებას.

სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა კონსერვატორიაში განვაგრძე, პედაგოგ თამარ ჩხარტიშვილის კლასში, მაგრამ მოულოდნელად დაიღუპა ჩემი და. ამით თავზარდაცემულმა მაშინვე მივატოვე კონსერვატორია და ამ ბიბლიოთეკას მოვაშურე. იმ ხანად მისი დირექტორი იყო პროფესორი გიორგი გეხტმანი, რომელმაც თავაზიანად მიმიღო, გამამხნევა, ყურადღებით მომისმინა და ჩემდა გასაოცრად, იმ დღესვე ჩამრიცხა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შტატში; მაშინ აქ სულ თორმეტიოდე ადამიანი მუშაობდა, მე მეცამეტე გახლდით, მაგრამ ეს ავბედითად აღიარებული რიცხვი ჩემთვის საბედნიერო აღმოჩნდა, მას შემდეგ უკვე 63 წელია აქაურობას არ მოვშორებივარ...

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის აკაკი ძიძიგურის საუბრიდან:

— ახლა კი ბიბლიოთეკას 500 თანამშრომელი ემსახურება. მისი ფონდი დღეისათვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 მილიონამდე ბეჭდურ ერთეულს მოიცავს და ყოველ წელიწადს მატულობს 350 000 ერთეულით. წიგნთსაცავით ყოველწლიურად სარგებლობს 600 000 მკითხველი. გარდა ამისა, იგი მეთოდურ-პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ჩვენი რესპუბლიკის 4000 ბიბლიოთეკას, ყოველ წელიწადს გამოსცემს 140-მდე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს სხვადასხვა საკითხებზე. ჩვენთან 30 განყოფილებაა. მათ შორისაა ქართველოლოგიის განყოფილება, რომლითაც მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები სარგებლობენ. აქ დაცულია მრავალი გამოცემა, რომელიც უკვე დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ბიბლიოთეკას გააჩნია უნიკალურ გამოცემათა ფონდი, სადაც სხვებთან ერთად ინახება პირველი ქართული ლექსიკონი, რომელიც იტალიაშია გამოცემული.

ბუნებრივია, გაზრდილ მოთხოვნებს ერთი შენობა ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომ 1953 წელს ბიბლიოთეკას მიემატა ბანკისათვის აშენებული მეორე კორპუსი, ხოლო ახლახან დასრულდა თერთმეტსართულიანი საცავის მშენებლობა. წლეულს, ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა დადგენილება ბიბლიოთეკისათვის ფინანსთა სამინისტროს შენობის გადაცემის შესახებ. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ზრუნავს რესპუბლიკის მთავრობა ეროვნულ წიგნთსაცავში სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მადლობის მეტი რა გვეთქმის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელების მიმართაც, რომელნიც ენთუზიაზმით შეეგებნენ ამ დიდ საქმეს. სამომავლოდ განზრახულია ბიბლიოთეკის მთავარი შენობა ყოფილ ფინანსთა სამინისტროს შენობას შეუერთდეს ე. წ. „თაღოვანი ხიდით“. ასევე დამუშავდება წიგნების მექანიკური მიწოდების სისტემა საცავებიდან დარბაზებისაკენ, რაც საგრძნობლად გააადვილებს მუშაობას და მკითხველებსაც უფრო სწრაფად მოვემსახურებით.

ასეთი მიღწევებით შევეგებეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს.

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ისინი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ საპატიო და საშვილიშვილო საქმეს, ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენი სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა უკვე 141 წლისა გახლავთ. მას სწორედ დიდმა მამულიშვილებმა ჩაუყარეს საფუძველი და საქმეს რუდუნებით აგრძელებენ მათი შთამომავალნი.

ბიბლიოთეკის ცოცხალი მატიანეა ქალბატონი მერი მელაძე-შარაშიძე, დამსახურებული ბიბლიოთეკარი, კატალოგიზაციისა და ანბანური კატალოგების ორგანიზაციის განყოფილების გამგე, თმათეთრი და სახენათელი „წიგნის დედა“, რომლის ბიოგრაფია სამუდამოდ შეერწყა სიკეთის ტაძრის, საჯარო ბიბლიოთეკის ბიოგრაფიას.

ირინე კუკავა





# „გმადლობთ, ქალბატონო თამარ!“

ჩემს მაგიდაზე წიგნები აწყვია — თერთმეტი წიგნი: „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ“; „სახალხო თეატრის ფარდასთან“, „მოდი, გავიხსენოთ“: „ნაძალადევის შუშათა თეატრი“; ახლახან გამოცემული „გიორგი მიქელაძე და თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი“ და სხვები.

მათი ყოველი ფურცელი, ყოველი სტრიქონი დიდი შრომითა და რუდუნებით შეუქმნია ავტორს.

პორტრეტები, პორტრეტები... სამასამდე პორტრეტი!

აი თუნდაც 840-გვერდიანი წიგნი „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ“ და 940 გვერდიანი „სახალხო თეატრის ფარდასთან!“ ამ წიგნების ავტორმა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა, საზოგადო მოღვაწეთა რამდენი ძვირფასი სახე აღმოაჩინა, გამოსცატა დავიწყებას და აამეტყველა!

მივუყვები ყოველ ფურცელს და თვალწინ ცოცხლდება მე-19 საუკუნისა თუ ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების თბილისის ცხოვრების სურათები, ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიმავალ ადამიანთა სილუეტები, სახალხო თეატრების ფარდების მიღმა შემორჩენილი ვნებათა ღელვა, გრძნობთ რევოლუციის სუნთქვას, მის მოახლოებას...

და ყველაფერი ეს უგროვებია და წიგნთა კონებად შეუკრავს ჟურნალისტს, მკვლევარსა და თეატრმცოდნეს თამარ გომართელს.

ფიქრით ავედევნები ავტორს და ოცნების თვალით ვხედავ მას, ნაძალადევსა თუ ჩუღურეთში რომ მიუყვანია კარგახნის გარდასულ მოღვაწეთა კვალის ძიებას.

ვხედავ ფერგაცრეცილ წერილებზე, საბუთებზე, ფოტოებზე თავდახრილს; ვხედავ, რა სიხარული კრთის მის თვალებში ყოველი ახალი აღმოჩენისას...

ვხედავ ნამცეც-ნამცეც ნაგროვებ მასალას, რაც საბოლოოდ ძეგლად დაუდგა წიგნების ბინადართ.

სწორედ ამ გულმხურვალებით, ნიჭით, თავდაუზოგავი შრომით, საქმის სიყვარულით მოიპოვა ქალბატონმა თამარმა მკითხველის პატივისცემა.

ამ სიყვარულით იყო გამთბარი ყველა მისი პატივისმცემელის სიტყვები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილ სხდომათა დარბაზში, სადაც მას, წიგნისათვის „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ“ „თეთრი ტაძრის“ უმაღლესი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის მედალი გადაეცა, ხოლო მეორე წიგნისათვის („მხატვრული თვითმოქმედება“) წილად ხვდა ამავე უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი ილია ვეკუას ხელმოწერით. სხვადასხვა დროს ქალბატონმა თამარმა თავისი სხვა წიგნებისათვის სხვა მედლებითაც დაიმშვენა მკერდი, „წიგნის სამყაროს“ კონკურსშიც გაიმარჯვა და საუკეთესო სტატიებისათვის დიპლომით დაჯილდოვდა.

თითქმის ათასგვერდიანი წიგნი!

სათქმელად ძალიან ადვილია, მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ ის ტიტანური შრომა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც თამარ გომართელმა გასწია; აბა წარმოვიდგინოთ ძიება, არქივების გადაყვითლებული ფურცლების ქექვა, კვლევა, ამბების მცოდნე და მომსწრე ხალხის ძებნა და ნახვა-საუბარი, შემდეგ სტამბა, კორექტირება... და კიდევ რამდენი რამ, — თუნდაც, ეს სამტომიანი ნაშრომი „სახალხო თეატრების ფარდასთან“, ავლაბრის, ავჭალის, ნაძალადევისა და სხვა სახალხო თეატრების მატიანე!

ჯაფა ჯაფაა, მაგრამ მართლაც რომ გასაკვირია, ერთმა ადამიანმა, დიდი ოჯახის დედამ დიასახლისობასთან ერთად როგორ ასწია ასეთი ტვირთი- მართლაც საოცარი და შესაშურია მისი ენერგია და ენთუზიაზმი, მთავარი კი ის არის, რომ ეს ყოველივე პატრიოტიზმიდან იღებს სათავეს, მთავარი მაინც სიყვარული და მხურვალე გულია, რომელიც ქალბატონი თამარის მკერდში ძგერს, და რომელმაც პატრონს უკარნახა, დავიწყებისათვის გამოეტაცა სახალხო თეატრების მივიწყებულ მსახიობთა, მწერალთა და სხვა მოღვაწეთა სახელები.

თამარ გომართელმა ვალად არ დაგვიტოვა ეთიმ გურჯის, ბეჩარას, ჰაზირას, გივიშვილის, სკანდარნოვას და სხვა აშულთა თუ ძველ კოლორიტულ მგოსანთა ღვაწლის დაფასება. იოსებ გრიშაშვილის ფასდაუდებელი ნაშრომის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ შემდეგ, სადაც დიდი ნიჭიერებით არის გაცოცხლებული აშულ-მგოსანთა სახეები და მათი პოეზია, ქალბატონმა თამარმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რა ალერსი და მოფერება სჭირდება წინაპართა სახელებს.

თუ რის მიღწევა შეუძლია საქმის სიყვარულს, ამის ნათელსაყოფად ერთ შთაბეჭდილებას გაგაცნობთ-

„ისტორიული ფაქტების ასე ზუსტად და სიმართლით გაანალიზებასა და გადმოცემას ძველად მხოლოდ გულთმისნებს მიაწერდნენ. თქვენ ხომ არ ბრძანებულხართ მურაშკოს, არაქსიანის, ხარფუხისა და სხვა თეატრებსა და კლუბებში?“ — სწერს ჟურნალისტი და მკვლევარი ვასილ ჩაჩანიძე ქალბატონ თამარს და შემდეგ გორკის კლუბზე (როგორც ავლაბრის თეატრის დასასრულზე) ამბობს: „იგი, უკვე დავიწყების ზვირთების მომლოდინედ გადაქცეული, გამხმარ მუხასა ჰგავდა. და აი, თქვენ გაჩნდით და ახალგაზრდობა და სიჭაბუკე დაუბრუნეთ. ეს ფანტასტიკა კი არ გახლავთ, ეს სიმართლეა...“ და დასასრულ, წერილის ავტორი მიმართავს ქალბატონ თამარს: „საოცარია, როგორ აამეტყველეთ ლაკონიური ენით დაბეჭდილი აფიშაც კი, რა სიმართლით აცნობთ ხალხს მაშინდელ ამბებს“.

ეს გაოცება, თავისთავად, ისეთი დიდი შეფასებაა თამარ გომართლის შრომა-გარჯისა, რომ, ვფიქრობ, ზედმეტ სიტყვებს აღარც საჭიროებს.

„ქალბატონო თამარ, წარსულის მოღვაწეთა მიმართ თქმულმა თქვენმა წერილობითმა შესანდობარმა (რომელსაც მეტი ფასი აქვს, ვიდრე ღვინით სავსე ყანწის გამოცლისას ნათქვამ მაღალფარდოვან სიტყვებს), არათუ გაგვაცნო მათი სახელები, არამედ მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობაც გაგვიჩინა“, — ეს სიტყვები საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს ნინო ღოღობერიძეს ეკუთვნის.

აგაშენა ღმერთმა! სხვა რა არის წიგნის მიზანი და დანიშნულება! თუ ავტორი მკითხველს კეთილი საქმის მიმართ მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობას ჩაუნერგავს, ეს ხომ მისი ყველაზე დიდი გამარჯვებაა!

ქალბატონმა თამარმა თავისი სტატიებით ერთხელ კიდევ შეგვახსენა საყვარელი ერისკაცების: ალექსანდრე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, ეკატერინე გაბაშვილის, მარიამ დემურიას, მარიამ გარიყულის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, მარიჯანის, მოსე თოიძის, ილიკო ქურხულის, ანდრია ბალანჩივაძის, ვახტანგ ფალიაშვილის, სანდრო მირიანაშვილის, კარლო გოგოძის და სხვათა ცხოვრება, მათი ძვირფასი დანატოვარი. თამარის კალმის შუქი მოეფინა მუშა პოეტების — იოსებ დავითაშვილის, გიგო ხეჩუაშვილის, ანტონ განჯისკარელის, ბეგლარ ახოსპირელის და სხვათა სახელებს, ქართული წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების ენთუზიასტისა და მოამაგის გრიგოლ ჩარკვიანის მოღვაწეობას.

1958 წლიდან დღემდე თამარ გომართელი გულით, კალმით, კაიქალობით შეუსვენებლად და დაუცხრომლად, უანგაროდ ილვწის ქართული ეროვნული კულტურის სასიკეთო საქმეებისთვის. ახლა ავჭალის სახალხო თეატრსა და უნივერსიტეტის ქალთა საბჭოსაც (რომელსაც დაარსებიდან 50 წელი უსრულდება) გადასწვდა მისი კალამი.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში, სადაც ის ოც წელიწადს სახალხო თეატრების განყოფილებას განაგებდა, კარგად ახსოვთ ქალბატონ თამარის მჩქეფარე ენერგია.

ვუკვირდები ამ მოუსვენარი ხასიათის, ამ ყველასათვის სიყვარულით აღსავსე გულის, ამ სპეტაკი სინდისის ქალს და მიკვირს, როგორ ასწრებს ამდენ საქმეს, ან როდის ილვიძებს, ან როდის იძინებს, რა ორგანიზმი აქვს ასეთი! თან მიკვირს და თან პატივისცემისა და მადლობის გრძნობა მეუფლება. და ხალხსაც, — მისი წიგნების მკითხველებს, — სწორედ ამან — პატივისცემისა და მადლობის გრძნობამ უკარნახა ამაგდარი მანდილოსნის ღვაწლის დაფასება: შეხვედრები მოუწყეს ჟურნალისტთა კავშირში, უნივერსიტეტში, სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა მის ნაშრომებზე დაწერილი რეცენზიები. მარტო ერთი რეცენზიის სათაურიც კი — „სახალხო თეატრების მემატიანე“ ყველაფერს მეტყველებს.

როცა თამარ გომართელი კოტე მარჯანიშვილის პრემიაზე წარადგინეს, ცნობილმა მოღვაწემ ოთარ ეგაძემ, აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ, ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა გუგული ბუხნიკაშვილმა დიდად შეაფასეს თამარ გომართლის ნაშრომები.

წლეულს, თბილისში, ქართული ფოლკლორის ტაძარში გამართული თამარ გომართლისადმი მიძღვნილი საღამო ხომ, — სწორედ რომ გვირგვინი იყო მისი დაფასებისა! ტაძარში იფრქვეოდა ქართული მუსიკისა და ლექსის ჰანგები, მისი ღვაწლის სამადლობელი სიტყვები, სცენაზე კი იჯდა მუდამ საქმისთვის შემართული მანდილოსანი და თვალთაგან სიკეთისა და სიმშვენიერის სხივებს აფრქვევდა.

მადლობითა და სიყვარულით აღსავსე გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს: პროფესორმა ნადია შალუტაშვილმა, გაზეთ „წიგნის სამყაროს“ რედაქტორმა ცისანა ღლონტმა, პროფესორებმა ციალა სვანიძემ და არჩილ სტეფანიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნინო ჩხეიძემ, მომღერალმა ცინუკი დადიანმა, ჟურნალისტმა გელა ზაუტაშვილმა, № 8 ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა, რომლებიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან ერთად თაოსანნი იყვნენ ამ შეხვედრისა. პოეტმა ალექსანდრე შანიძემ კი თამარ გომართლისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

ყველაფერი ყველაფერია, ქალბატონი თამარი ბევრი ღირსებით არის შემკობილი, მაგრამ ეს წერილი სრული არ იქნებოდა, რომ არაფერი გვეთქვა ქალის უპირველეს და უწმინდეს დანიშნულებაზე — ოჯახის მოვლასა და შვილების აღზრდაზე.

შვილი ყველა მშობლისთვის საყვარელია, მაგრამ თუ ეს შვილები სახელოვანნი არიან და სიყვარულს დედის გულში სიამაყეც ემატება, მაშინ ხომ დედა ორმაგად ბედნიერია.

დიახ, თამარ გომართელი უბედნიერესი ქალია: ორი ვაჟის — ანზორისა და ზაურის, ორი ქართველი ვაჟკაცის დედაა. აი მისი ბედნიერების წყაროსთავი! ზაური ჟურნალისტია, ანზორი კი — მოქანდაკე, სამხატვრო აკადემიის დოცენტი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი.

ახალგაზრდა პოეტის დალი გეთიაშვილ-სხირტლაძის ლექსი, რომელიც ავტორმა ქალბატონ თამარს ფოლკლორის ტაძარში წაუკითხა, ისე კარგად გამოხატავს ყველას სათქმელს, რომ მეც აბა უფრო უკეთესად რით დავამთავრებდი ამ წერილს:

წარსულთა ლანდების მოფერებისთვის,
გარდასულ დღეების გაცოცხლებისთვის,
დათენებული ღამეებისთვის,
ლამაზი ცხოვრებით არსებობისთვის,
ქართველი ქალობის ზეაწევისთვის,
რუსთველის შაირის გამართლებისთვის
(ძუ იყოს თუნდა ხვადია),
ამ უანგარო სიცოცხლისათვის,
რომ შეეხარბება მრავალს, —
ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის
გმადლობთ, ქალბატონო თამარ!

ალექსანდრე ბეგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიული ლოლაძის ფოტო

საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობის დელეგატი, მკერავი მაყვალა უშვერიძე (შუაში) თანამოსაქმეებთან.

# ახლის ძიებაში

წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეცხაოში ცამეტი მრეცხავი მუშაობს. თითოეულის ხელფასი 150 მანეთიდან 200 მანეთამდეა. ხელფასის ზრდას ხელს უწყობს არა მარტო მათი ენერგიული და მონდომებული შრომა, არამედ წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მიერ შექმნილი გასვლითი კომპლექსური ბრიგადები.

გასვლითი ბრიგადა აქ 1978 წლიდან მუშაობს. ადრე ის მარტო სამრეცხაოს ემსახურებოდა და პირველ ხანებში არც თუ სახარბიელო შედეგი ჰქონდა. სოფლის ქალებს სირცხვილად მიაჩნდათ გასარეცხად თეთრეულის ქალაქში გაგზავნა. თანდათან, სამმართველოს მუშაკთა აგიტაციითა და შთაგონებით ირწმუნეს, რომ დიასახლისების შრომის შემსუბუქება ოჯახს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს. როგორც კი დადგა ცხოვრებაში დაჩქარებისა და გარდაქმნის საკითხი, სამმართველომ შექმნა თორმეტი გასვლითი კომპლექსური ბრიგადა. მასში გაერთიანებულნი არიან: ხარაზები, დალაქები, მკერავნი, მრეცხავნი, რომლებიც განრიგით დადიან სოფლებში, იღებენ შეკვეთებს და მეორე კვირას მომხმარებლებს სახლში მიართმევენ გაქათქათებულ თეთრეულს, დაკერებულ ფეხსაცმელს, შეკერილ თუ გადაკეთებულ ტანსაცმელს. სამმართველოს დირექტორთან ინახება ჟურნალი, სადაც სოცუზრუნველყოფის მიერ აღრიცხულნი არიან ომის ის ვეტერანები და ფრონტზე დაღუპულთა ქვრივები, მარტოხელა პენსიონერები ქალები და მამაკაცები, რომელთაც სჭირდებათ ბინაზე მომსახურება.

კომპლექსურ-გასვლითმა ბრიგადულმა შრომამ დიდად შეუწყო ხელი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. მათი წლევანდელი წლის გეგმაა 1326 ათასი მანეთი. რვა თვის განმავლობაში სამმართველომ მოსახლეობას 1 345 700 მანეთის მომსახურება გაუწია. გეგმა შეასრულა 101,4 პროცენტით. ერთ სულ მოსახლეზე მათ მიერ გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქად და სოფლად ბევრად აღემატება არა მარტო რესპუბლიკის მაჩვენებელს, არამედ წინ უსწრებს საკავშირო მაჩვენებელსაც. ასე იყო გასულ წლებშიც, რისთვისაც სამმართველო თორმეტჯერ არის დაჯილდოებული საკავშირო გარდამავალი დროშით.

სამმართველოს წარმატების მიღწევაში დიდ როლს თამაშობს არამარტო პუნქტების სიმრავლე (საზეინკლო, ქიმწმენდა, სამკერვალოები, ფოტოატელიე, აბანო, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების პუნქტი), არამედ შრომის ორგანიზაციის სწორი წარმართვა, სოციალისტური შეჯიბრებები პუნქტებსა და ინდივიდებს შორის, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ახალი მეთოდებისა და ხერხების დანერგვა წარმოებაში და ასე შემდეგ.

მოგვარებულია სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმების საქმე, კვარტალურად ხდება მუშაობის შედეგების გადასინჯვა, გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან გარდამავალი დროშებით, ვიმპელებით, სიგელებით, საგზურებით, ეძლევათ ფულადი პრემიები, მაგრამ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ეხსნებათ პრემია.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში სამმართველოს დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე კოლექტიური იჯარის მეთოდი. მაგალითად, ფოტოგრაფმა ლიდა ჟერომ შექმნა იჯარული ბრიგადა. მისი გეგმაა ათას ასი მანეთი, ძირითადი ხელფასი კი ათასი მანეთის ოცდათხუთმეტი პროცენტი. გეგმის ასი პროცენტით შესრულების შემთხვევაში ემატება ათი პროცენტი, გადაჭარბებისას კი გადამეტებული თანხის ხუთი პროცენტი. ამის გამო შრომითი დაინტერესება მეტად დიდია და შედეგიც კარგი — ამიტომ გეგმა ყოველ თვეში გადაჭარბებით სრულდება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დირექტორის გივი იოსელიანის საუბრიდან: „ჩვენს ობიექტებზე მომუშავე ქალებს (ისინი უმეტესნი არიან) ვცდილობთ კარგი სამუშაო პირობები ჰქონდეთ. გვაქვს ქალთა დასასვენებელი ოთახები, უფასო ერთჯერადი კვება; მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები უფრო გაუმჯობესდება ახალი სამეურნეო სისტემაზე გადასვლის შემდეგ. აი, თქვენ რომ ბრძანეთ ჩვენს სფეროში ფოსტალიონის „შუამავლად" გამოყენების შესახებ, ეს მშვენიერი ფორმაა. მართლაცდა, შეგვიძლია ვთხოვოთ ფოსტალიონს და შესაძლებლობის მიხედვით დაგვაკავშიროს სოფლის მოსახლეობასთან და ჩვენთან ერთად გარკვეულწილად მოემსახუროს დამკვეთებს, ამით ჩვენი მუშაობა უფრო ინტენსიური გახდება და ფოსტალიონსაც ეკონომიური მხარე გაუუმჯობესდება, რამდენ მანეთის შესასრულებელ სამუშაოსაც წარმოგვიდგენს, იმ თანხის რვა პროცენტს გადავუხდით, ისიც კმაყოფილი დარჩება და ჩვენც. მე იმასაც ვფიქრობ, თუ არსებობს მორიგე მაღაზია, აფთიაქი, რატომ არ უნდა არსებობდეს ქალაქში თუნდაც ერთი მორიგე საპარიკმახერო პუნქტი, რომელიც ღამის 11-12 საათამდე მოემსახურება მომხმარებელს.

რაკილა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მფლობელნი ვართ, უნდა შევინარჩუნოთ ეს საპატიო ჯილდო და უმაღლეს დონეზე მოვემსახუროთ ჩვენს მოსახლეობას.

ელისო ბილანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიახლენი რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა სართულზე



შადრევანი

სამხატვრო სალონი



ეროვნული ბიბლიოთეკა





ბარი

სიახლენი რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა სართულზე



„ხოლანი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ფირმა „მელოდია“

ვიტრაჟი

დ. იაკობაშვილის
და რ. ლალიძის
ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკ

# ქართული ხელოვნების მოამაგე



ერთ გამოჩენილ მწერალს უთქვამს: მთავარია პიროვნებაში გამოიცნო ის ერთადერთი მისწრაფება, ნიჭი, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვებაო. ვინ იცის, სწორად აირჩევდა თუ არა გაიანე ალიბეგაშვილი თავის ძირითად „ერთადერთ“ საქმეს, რომ ცხოვრების გზასაყარზე არ შეხვედროდა დიდ მეცნიერსა და პიროვნებას, ქართული ხელოვნების ისტორიის ფუძემდებელს, გიორგი ჩუბინაშვილს. მისი რეკომენდაციით მოვიდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

გაიანე ალიბეგაშვილი არ ეკუთვნის ინსტიტუტის „დამაარსებელთა“ თაობას. როცა იგი მოვიდა, ინსტიტუტი უკვე „სამი წლისა იყო“. მაგრამ გაიანე ალიბეგაშვილმა და მისმა თაობამ თანაბრად გაინაწილეს ტვირთი, რომელიც უნდა ეტარებინათ ინსტიტუტის შექმნის პირველ წლებში, მთელ შემდგომ ცხოვრებაში კვლევის ახალი მეთოდების დამკვიდრებისთვის, მომავალ თაობათა აღზრდისათვის... ეს გზა ყოველთვის არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი: დაინტერესებული ადამიანი იმ დროის ინსტიტუტის ისტორიის ჭეშმარიტ სურათს აღიდგენს ვახტანგ ბერიძის მოგონებებით, „საბჭოთა ხელოვნებაში“ რომ გამოქვეყნდა ამ ორიოდე წლის წინათ.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი გაიანე ალიბეგაშვილი ქართული ხელოვნების ძეგლთა თვალსაჩინო მკვლევარია. როდესაც თვალს გადაავლებთ მისი სამეცნიერო ნაშრომების სიას, გონებაში აღიდგენთ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცზე მეტ წელს, დარწმუნდებით, რომ ქალბატონ გაიანეს არსებითი წვლილი შეაქვს ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლის საქმეში. გაიანე ალიბეგაშვილი იმთავითვე, ახალგაზრდობიდანვე ჩამოყალიბდა სერიოზულ მკვლევარად, რასაც თავის ბუნებრივ მონაცემებთან ერთად უნდა უმადლოდეს დიდ მასწავლებელს — გიორგი ჩუბინაშვილს; გარკვეული როლი ახალგაზრდა მეცნიერის ჩამოყალიბებაში შეასრულა აგრეთვე ქართული ხელოვნების მოამაგემ — რენე შმერლინგმა.

გაიანე ალიბეგაშვილი სწავლობს ძველსა და თანამედროვე ხელოვნებას — მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ძეგლებს, ძველ ხელნაწერთა მინიატურებს, გამოჩენილ თანამედროვე ფერმწერთა შემოქმედებას, კინოსა და თეატრის მხატვრობას. მისი პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიეძღვნა ვარძიის, ყინწვისის, ბეთანიისა და ბერთუბნის ეკლესიებში შემონახულ თამარ მეფის პორტრეტებს. ეს იყო პირველი სპეციალური ნაშრომი, მიძღვნილი საერო პორტრეტისადმი ქართული კედლის მხატვრობაში. ამას მოჰყვა სხვა ნაშრომები: „მხატვარ თევდორეს მოხატულობები ზემო სვანეთში“ (1966 წელი, თანაავტორები; ნათელა ალადაშვილი და ანელი ვოლსკაია) „XI საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების მხატვრული პრინციპი“ (1973 წელი), „საერო პორტრეტი შუა საუკუნეთა ქართულ მონუმენტურ ფერწერაში“ (1979 წელი), „სვანეთის ფერწერული სკოლა“ — (იმავე თანაავტორებთან ერთად, 1983 წელი), „ქართული ფერწერული ხატები“ (1980 წელი) მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებთან ერთად (კურტ ვაიცმანი, მანოლის ხაციდაკისი, გოდანა ბაბიჩი და სხვანი) ;გაიანე ალიბეგაშვილი და ანელი ვოლსკაია თანაავტორები არიან ბრწყინვალედ გამოცემული წიგნისა „ხატები“ (1981—1982 წლები, იუგოსლავია-იტალია). იგი მონაწილეობდა აგრეთვე, მთლიანად ქართული ხელოვნებისადმი მიძღვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნილ მეორე მშვენიერ გამოცემაში — „საქართველოს განძი“ (1984 წელი), ამ წიგნში, რომლის თანაავტორები არიან ვახტანგ ბერიძე, ანელი ვოლსკაია, ლეილა ხუსკივაძე, გაიანე ალიბეგაშვილს ეკუთვნის ხელნაწერთა მინიატურებისა და ფერწერული ხატებისადმი მიძღვნილი ნაწილი. მან ცალკე გამოკვლევები მიუძღვნა პეტრე ოცხელის, დავით კაკაბაძის, უჩა ჯაფარიძის, ნატალია ფილავანდიშვილისა და სხვათა შემოქმედებას. საგულისხმოა, რომ მის ნაშრომებში განხილულია მანამდე შეუსწავლელი პრობლემები, გაშუქებულია მრავალი საკითხი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი სურათის წარმოსახვის საქმეში.

მის საქმიანობაში მთავარია ახალგაზრდებთან მუშაობა. სამხატვრო აკადემიაში იგი ხელმძღვანელობს ხელოვნების ნიმუშთა მხატვრული ანალიზის სემინარს. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეები სწავლობენ ასპირანტურაში, ამზადებენ და იცავენ სადისერტაციო ნაშრომებს.

ქალბატონი გაიანე მონაწილეა მრავალი სიმპოზიუმისა და სამეცნიერო შეკრებებისა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი აქტიური ადამიანია, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, იგი მომთხოვნია სხვათა მიმართაც. მისი მეცნიერული მოღვაწეობა აღმავლობის გზით მიდის. ის დიდი ცოდნა და გამოცდილება, რაც მეცნიერს წლების განმავლობაში დაუგროვდა, ახალი პრობლემების გადასაწყვეტად იწვევს.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მზადდება „ქართული ხელოვნების ისტორიის“ მრავალტომეული. იწყება მუშაობა ახალი, რიგით მეექვსე, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მოსამზადებლად. ამ საშვილიშვილო საქმეთა დაგვირგვინება გაიანე ალიბეგაშვილის წვლილის გარეშე ჭეშმარიტად წარმოუდგენელი იქნება.

**ინგა ლორთქიფანიძე**

**რედაქციისაგან:**

**სანამ სტატია დასაბეჭდად მზადდებოდა, ცნობილი გახდა, რომ გაიანე ალიბეგაშვილს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი ულოცავენ ქალბატონ გაიანეს ამ საპატიო წოდებას.**

## ქალთა საბჭოს გამოცდილებიდან

# მხოლოდ

მოუსვენარი ხასიათი აქვს ლიდა პერტაიას. — უყვარს ხალხთან ურთიერთობა, შენ-ჩემობა არ იცის, საერთო საქმისთვის თავდადებული ქალია, ამასთან ერთად, მეტად კეთილი გულის პატრონია და რაც მთავარია, სამართლიანი.

1980 წელს გადმოვიდა პერტაიების ოჯახი გლდანის პირველ მიკრორაიონში საცხოვრებლად. ქალბატონ ლიდას ეს თვისებები შეამჩნიეს მეზობლებმა, და არა მარტო მეზობლებმა — რაიონის ხელმძღვანელებმაც.

და როცა გაჩნდა იდეა, რომ ამ მიკრორაიონში ქალთა საბჭო ჩამოყალიბებულიყო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მის ხელმძღვანელად ლიდა პერტაია დაასახელეს. არც შემცდარან.

ლიდა პერტაიამ საქმეს უცბად აუღო ალღო—მოძებნა და გარს შემოიკრიბა მასავით ენთუზიასტი ქალები, ასე 30-მდე და როცა მათთვის ბინა გამოიძებნა, უპირველესად ამ ბინის მოწესრიგებას შეუდგა მათთან ერთად. შევყურებთ ახლა ამ მყუდრო სამოთახიან ბინას, სისუფთავისაგან ნათელი რომ გადასდის და ვუსმენთ ქალთა საბჭოს წევრებს.

— ძალიან მოუწესრიგებელი იყო თავიდან აქაურობა, — იხსენებენ ისინი, — ჩვენ თვითონ გავუკეთეთ რემონტი, ეს ორი ოთახიც გავაერთიანეთ, სიხალვათე რომ ყოფილიყო... მერე წარმოებებიც წაგვეხმარნენ — თეთრეულის ფაბრიკამ ფარდები მოგვცა, კერამიკის ქარხანამ — მინები, მერე თიხის ლამაზად მოჭიქული ჭურჭლითაც დაგვასაჩუქრა. ვცდილობდით, რომ ყველაფერი მიმზიდველი გამოგვსვლოდა...

მართლაც შესანიშნავი სამყოფელი გამოუვიდათ ქალებს. ახლა საჭირო იყო მუშაობა და საქმეს ენერგიულად შეუდგნენ: ჩამოაყალიბეს ჭრა-კერვის, ქსოვის, ქარგვის, კულინარიის წრეები. და როგორ გგონიათ, როგორ მუშაობენ ლიდა პერტაია, მარინა ჩიქობავა, თამარ კახიანი, ანა ავაქოვა და სხვები? — უფასოდ და უანგაროდ, ამასთან შესანიშნავად ასწავლიან ხელსაქმეს ქალებს. ამაზე მეტყველებს კედლებზე გამოფენილი მათი ნახელავი — მშვენივრად ნაკერი კაბები, აპლიკაციებითა და ნაქარგებით გაწყობილი ბავშვის ტანსაცმელი, გემოვნებით მოქსოვილი ჯემპრები, შარფები და რა ვიცი, რაღა არ. ერთი ტრადიციაც აქვთ — მათთან სტუმრად მოსულს ლამაზი წინსაფრით ასაჩუქრებენ.

— ქალებს კი გაუხარდებათ, მაგრამ კაცებს? — კაცებსაც ასაჩუქრებთ?

— კაცებსაც, აბა! — მეუღლისათვის, შვილებისათვის, თუ ახალგაზრდაა — საცოლისათვის, — ღიმილით გვეუბნება მარინა ჩიქობავა.

სანამ სტუმრები ქალთა საბჭოს მუშაობას ეცნობიან (ერთი კვირა მაინც უნდა იყოთ ჩვენთან, ჩვენს საქმიანობას სრულად რომ გაეცნოთო, — ასე გვითხრეს), ყოჩაღი გოგონები ნამცხვრის გამოცხობას უკვე ასწრებენ. აბა სტუმარს პატივისცემის გარეშე როგორ გაუშვებენ — აქ ხომ ოჯახია, ქალთა დიდი ოჯახი. ისე კი, დიდი სტუმრიანობა აქვთ — საიდან აღარ ჩამოდიან: ცხაკაიადან, წყალტუბოდან, ზუგდიდიდან, კიევიდან... ჩამოდიან და აღტაცებას ველარ ფარავენ, იმდენად მოსწონთ აქაურთა უშუალობა და მრავალმხრივი საქმიანობა. ამაზე მეტყველებს მადლობით ავსებული შთაბეჭდილებათა წიგნი.

ერთხელ ჩვიდმეტი ქალი ეწვია ქალთა საბჭოს. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან იყო ჩამოსული ჩვიდმეტი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. წასვლისას მადლიერმა ქალებმა 50 მანეთი დაუტოვეს საჩუქრად. ამ თანხით საკაბე ქსოვილი იყიდეს და ცხრამეტი ლამაზი კაბა შეკერეს, მერე კი კოჯრის საბავშვო სახლს აჩუქეს.

ბავშვები მათთვის ყველაზე მთავარი საზრუნავია. კარგად მუშაობს ქალთა საბჭოში ხელგარჯილობის წრე ბავშვებთან. წრეს ნატაშა კახიანი ხელმძღვანელობს. იგი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მერანში“ კონსტრუქტორია. თავისუფალ დროს კი პატარებთან ატარებს. რაღას არ სწავლობენ ბავშვები ნატაშა მასწავლებლისაგან — ძერწვას, ხატვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი ნებით



ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ლიდა პერტაია აქტივთან საუბრისას





დ. იაკობაშვილის ფოტოები

ქსოვას... აქ ნატაშა კახიანიც და სხვებიც თავიანთი პირადი მაგალითით აჩვევენ ბავშვებს წესიერებასა და გულთბილობას. როცა ქალთა საბჭოს წევრები ბავშვთა სახლებს საჩუქრებითა და დედური სითბოთი ეწვევიან, თან მიჰყავთ თავიანთი ბავშვებიც — დე, ერთად გაერთონ, ერთად იმღერონ და იცეკვონ, მეტი სიხარული რაღა იქნება მათთვის!

გლდანის პირველი მიკრორაიონის ქალთა საბჭო ხანდახან ძიძის როლშიც გვევლინება. აქ ხშირად იტოვებენ ბავშვებს იმ შემთხვევაში, როცა მათი დედები დროებით სადმე მიდიან, სახლში კი არავინ ჰყავთ, პატარებს რომ მიუხედონ. დედები გულმშვიდად არიან — იციან, მათი შვილები საიმედო ხელშია.

...და ყველაფერი ესეც უფასოდ. მარინა ჩიქობავა, თამარ კახიანი, ნორა კარანაძე, სილვა კულიჯანოვა, ანია ასლანოვა, ლია ღლონტი იმდენ სულიერ კმაყოფილებას პოულობენ თავიანთი უანგარო სამსახურით, რომ მათ არავითარი საფასური აღარ სჭირდებათ.

რამდენჯერ გვსმენია დიასახლისების წუწუნი: — ყველაფერს მოვწყდით, აღარაფრის ხალისი არა გვაქვს. თავის მოწესრიგებასაც ველარ ვახერხებთ, ისე ჩავიკეტეთ სახლშიო, — — და სამსახურში გასვლაზე ოცნებობენ, არა და საამისოდ ხელი არ ეწყობათ. გლდანის პირველი მიკრორაიონის ქალთა საბჭოში უმრავლესობა სწორედ დიასახლისები არიან. ისინი ახლა ყველაფერს ასწრებენ — დიასახლისობასაც, სასარგებლო საქმიანობასაც და თავის მოწესრიგებასაც.

ჩვენ ამ წერილში ხშირად ვახსენებთ სიკეთეს. ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ქალთა საბჭოს ლიდა პერტაიას ხელმძღვანელობით. ეხმარებიან მარტოხელა, უმწეო მოხუცებს, გაჭირვებულ დედებს, მრავალშვილიან ოჯახებს..., მათი შუამდგომლობით გლდანის რაიონული საბჭო დამატებით თანხას, 100 მანეთის ოდენობით, პენსიასთან ერთად წელიწადში ერთხელ ურიცხავს მარტოხელა მოხუცებს. მათ თვეში ერთხელ მანქანითაც ჩამოუვლიან და სახლში მიუტანენ ხოლმე წინასწარ შეკვეთილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო სურსათ-სანოვაგეს, ხოლო საახალწლოდ ყველა მათგანის სახლის კარს შეაღებენ, ახალ წელს ტკბილეულით მიულოცავენ და თავიანთ დიდ ოჯახშიც მიიპატიჟებენ.

...თერთმეტი შვილი ჰყავს ლამარა ბებურიშვილს. როცა უფროსი ქალიშვილი გაუთხოვდა, დედამთილმა სახლში არ მიიღო ახლად დაქორწინებულები. ქალთა საბჭომ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მისი აქტიური ჩარევით ერთი ოთახი გამოუყვეს მათ. ახლა კი ახალ ბინას ელოდებიან.

ბინის მიღებაში დაეხმარნენ ლიდა ნელოვსასაც, ექვსი შვილის დედას ტანია კოზლოვას, რომ იტყვიან, მართლაც თან გადაჰყვნენ — დაასაჩუქრეს თეთრეულით, ბავშვის ტანსაცმლით. შემდეგ სახლმმართველობას ამ ქალის ბინა შეარემონტებინეს, დედას სამსახურიც მოუძებნეს. ტანია კოზლოვა ახლა მათი ოჯახის წევრია. მისი სამი შვილიც ხელგარჯილობის წრეში დადის.

— ვერც მოგიყვებით ყველაფერ იმას, რასაც ჩვენი ქალთა საბჭო აკეთებს, გვავიწყდება, ანდა რომელი ერთი გავიხსენოთ, — ამბობს როზა ბაღდასაროვა.

ქალთა საბჭოსათვის განკუთვნილ სამოთახიან ბინას მალე ოთხოთახიანიც შეემატება, გაფართოვდებიან და სამოქმედო ასპარეზიც ფართო ექნებათ. ჩამოყალიბდება მუსიკალური წრე ბავშვებისათვის, ცალკე გამოყოფენ ფიზკულტურის ოთახს... თანაც რამდენია მოსურნე, გახდეს ამ დიდი ოჯახის წევრი. იქნებ ყველა მათგანის სურვილი დააკმაყოფილონ. ჯერჯერობით კი ორასნი არიან, ქალთა საბჭო თუმცა გლდანის პირველ მიკრორაიონს ეკუთვნის, აქ მეორე და მესამე მიკრორაიონებიდანაც სიამოვნებით დადიან.

— შეიძლება გლდანში ბევრმა არც იცოდეს ჩვენი საბჭოს არსებობა, მაგრამ როგორც კი ახსენებთ უფასო სახელსაქმო წრეებს, მაშინვე აქეთ მოგასწავლიან. სახელი შორს გვაქვს გავარდნილი, — ღიმილით გვეუბნება ლიდა პერტაია.

ქალბატონი ლიდა ეროვნებით უკრაინელია, საქართველოს რძალი. წარსულს მღელვარების გარეშე ვერ იხსენებს. თორმეტი წლის იყო, ომმა რომ მოუსწრო. ქერჩში ცხოვრობდა მაშინ და იქ რა რისხვაც ტრიალებდა, ყველამ იცის. გოგონა პარტიზანებს ეხმარებოდა, ცნობილ ვალოდია ბუნინთან მეკავშირეობდა. მერე ტყვეობა, ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი, ენით აუწერელი სასოწარკვეთილება, შიში და წამება. ომის დამთავრებამდე მოახერხა საშინელებათა ბანაკიდან თავის დაღწევა. ბეწვზე გადაურჩა უცილობელ სიკვდილს. ქერჩში აღარავინ დახვდა თავისიანებიდან ცოცხალი, აღარც სახლი იყო არსად... სად წასულიყო... და გაახსენდა ომამდე გაცნობილი ქართველი სერგო პერტაია, მეტად კეთილი და გულისხმიერი კაცი. სერგომ მაშინ მისამართი დაუტოვა ლიდას და ლიდამაც, უმწეოდ დარჩენილმა, მოაშურა საქართველოს, ჩხოროწყუში ჩამოვიდა სერგოსთან.

# ამაგდარი

ქარელის რაიონში შრომაში წარმოჩინებული ბევრი ადამიანია. მათ შორისაა რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე მარიამ მჭედლიშვილი, უანგაროდ რომ ემსახურება ამ საპატიო საქმეს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი და იმავე წლიდან შეუდგა მუშაობას. რვა წელი გორის რაიონის სოფელ ტირძნისში ჯერ კლუბ-სამკითხველოს, შემდეგ კი სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ტირძნისის მოსახლეობა მადლიერების გრძნობით და პატივისცემით ეპყრობოდა ახალგაზრდა გოგონას. მასაც მოსახლეობის თანადგომა ახალისებდა, ენერგიას მატებდა. ამის გამო მუშაობაში წარმატებებს მიაღწია.

ქარელმა შრომაში წარმოჩინებული თავისი შვილი უკანვე დაიბრუნა და 1948 წელს ქარელის კულტურის განყოფილებაში ინსპექტორად დანიშნეს. 1960 წელს ქარელის საბავშვო ბიბლიოთეკა ჩააბარეს. 1979 წელს საბიბლიოთეკო დაწესებულებების ცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, მარიამი ამავე დროს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეც იყო.

ოთხი ათეული წელია მარიამ მჭედლიშვილი კულტურის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით განაგებს და უბრალო შენიშვნაც კი არ მიუღია. ცხოვრობს ბავშვებისადმი უზომო სიყვარულით, მათი ოცნებებითა და ხვალინდელ დღეზე ფიქრებით. თითოეული ბავშვი თითქმის საკუთარი შვილებივითა და შვილიშვილებივით უყვარს. არიგებს: ჩემო პატარებო, აი, ხომ ხედავთ შესაფერისი ლიტერატურა შეგირჩიეთ, გულდასმით წაიკითხეთ, წიგნს ფაქიზად, სათუთად მოეპყარით, თორემ იგი ჩვენთან გაგცემთ. გჯეროდეთ რომ:

„წიგნმა იცის, წიგნი ამბობს,
ვინ როგორი ბავშვია,
როგორ უვლის საყვარელ წიგნს—
ეს მის ფურცლებს ატყვია".

პატარებიც დაპირებას აძლევენ თავიანთ „მარო დეიდას": ნუ ინაღვლებთ, საკუთარი თვალისჩინივით მოვუვლითო. მართლაც, ბიბლიოთეკაში სუფთად და სათუთად მოვლილი წიგნები აწყვია. მარიამს თავის უპირველეს მოვალეობად მკითხველთა მიზიდვა, სიახლის დანერგვა, და მათთვის რჩევა-დარიგების მიცემა მიაჩნია.

ქარელის საბავშვო ბიბლიოთეკა მომსახურეობას უწევს მასწავლებლებსაც, პიონერხელმძღვანელებსაც და მშობლებსაც. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მკითხველთა განათლებას, პოლიტიკურ სწავლებას, შრომისადმი სიყვარულის გაღვივებას.

სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებისა და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაჩინოებისათვის მარიამს ბიბლიოთეკაში მოწყობილი აქვს გამოფენები, მკითხველებთან პერიოდულად ტარდება ხმამაღალი კითხვა-საუბრები.

ბიბლიოთეკამ საინტერესო მუშაობა გასწია ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

კულტურის დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მარიამ მჭედლიშვილი რამდენჯერმე იქნა არჩეული ქარელის ჯერ სასოფლო — შემდეგ კი სადაბო საბჭოს დეპუტატად. მან 1969-1979 წლებში მონაწილეობა მიიღო ქარე-

იმედმა გაუმართლა, ომგადახდილი სერგო შინ დაუხვდა. საქართველო ჩემი სამშობლოა, — ამბობს მადლიერი ქალი. მალე შექმნეს ოჯახი სერგომ და ლიდამ, სანაქებო ვაჟიც გაზარდეს.

ლიდა პერტაიას მარჯვენა ხელია ნორა ჭანტურია-კარანაძე. ეს თეთრთმიანი, შავებით მოსილი ქალი მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობას ბადებს. მისი ვაჟი — ოფიცერი ვალერი კარანაძე ავღანელი ხალხის უფლებების დაცვას შეეწირა... როცა ქაბულში ბავშვთა სახლი გაიხსნა ობოლი ბავშვებისათვის, ქალბატონ ნორას ინიციატივით მათ საჩუქრები გაუგზავნა ქალთა საბჭომ. მართლაც ულევი სიკეთის დამტევია დედის გული.

...ახლა ქალთა საბჭოს დიდი ოთახის ერთი კუთხიდან ვალერი კარანაძის ჭკვიანური და შუბლნათელი სახე იმზირება. აქ ყოველთვის აწყვია ცოცხალი მიხაკები. ქალბატონ ნორას დიდი ტკივილი საერთო სატკივარი გამხდარა.

— ესენი რომ არა, ალბათ დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი, — ამბობს სიმწრით ცრემლგამშრალი დედა, — ახლა საქმეს ვაკლავ თავს და სხვისთვის გაკეთებული საქმე მშველის, რომ ვიცოცხლო...

აი, ასეთი სიყვარული იციან აქ, ასეთი თანადგომა.

როცა გლდანში მერვე მიკრორაიონი საზეიმოდ გაიხსნა, ქალთა საბჭომ თავისი ნახელავის გამოფენა-გაყიდვა მოაწყო, ხოლო ნავაჭრი თანხა ჩერნობილში გადააგზავნა.

ამ გამოფენა-გაყიდვაზე უამრავი ნამცხვარი ჰქონდათ მოტანილი. ნამცხვრები არ გაუყიდიათ — ბავშვებს დაურიგეს. საერთოდ ბავშვებს ხშირად მასპინძლობენ ნამცხვრებით, ტყუილად კი არ მუშაობს კულინარიის წრე.

თითქმის ერთი წელია, რაც სტიქიამ დააზარალა საქართველო და ამ უბედურებამ რამდენი კეთილი საქმე გამოავლინა... მაშინ ქალთა საბჭომ ტანსაცმლით სავსე ამანათები გააგზავნა ქუთაისში, პასუხი კი ჯერაც არ მოსვლიათ.

ასე შრომობენ გლდანის პირველი მიკრორაიონის ქალთა საბჭოში, ასე სთესენ სიკეთეს და არც იმათ ივიწყებენ, ვინც მათ ეხმარება.

— აუცილებლად დაწერეთ, — გვთხოვეს მათ, — რომ ძალიან გვეხმარება გლდანის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი ვალენტინა კულიკოვა. ის რომ არა, ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით. მხარში გვიდგას რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი გიული ჯალაღანია. შეფობას გვიწევს გლდანის შემნახველი სალარო (დირექტორი დავით შერგულაშვილი), განათლების განყოფილების გამგის მოადგილე იზოლდა ბენდელიანი — მისი თაოსნობით ხომ პიანინო გვაჩუქეს...

სიკეთეს თესენ და სიკეთეს იღებენ.

**ოლია დადიანი,**
**მანანა ზარიძე.**



ბიბლიოთეკის გამგე მარიამ მჭედლიშვილი ნორჩებთან

ვარლამ მენზიურის ფოტო

ლის მოსახლეობის საკავშირო აღწერაში, რისთვისაც მადლობა გამოუცხადეს.

1970 წელს, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის კულტურის სამინისტროსაგან მიღებული აქვს საპატიო სიგელი და მედალი.

1971 წლის 5 მარტს მარიამ მჭედლიშვილს რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა, კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და შრომითი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოვდა „შრომის ვეტერანის“ მედლით.

მარიამი 1947 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია და ერთხანს ქარელის კულტურის განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. რამდენჯერმე იყო არჩეული კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და კვლავაც მუშაობს ქარელის სახალხო სასამართლოს მსაჯულად.

დიახ, ქარელელებს ბევრი კარგის თქმა შეუძლიათ მარიამ მჭედლიშვილის შესახებ. მისი, როგორც კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა, რომ ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალი ერთსულოვნად იბრძვის საბიბლიოთეკო საკითხების გადასაჭრელად, სიახლის დასანერგად. ისინი დაპირებას იძლევიან, რომ უფრო მეტად გაზრდიან მკითხველთა რიცხვს, გადაჭარბებით შეასრულებენ წიგნის გაცემის გეგმებს და თითოეულ მკითხველამდე დაიყვანენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს.

საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: მარიამ მჭედლიშვილმა (გამგე), შურა ომიაძემ (უფროსი ბიბლიოთეკარი) ლენა სანდოძემ (უმცროსი ბიბლიოთეკარი) და ბელა მჭედლიშვილმა (დარბაზის გამგე) ბუნების სტიქიის შედეგად დაზარალებული რაიონების დასახმარებლად მე-700 ანგარიშზე ორ-ორი დღის ხელფასი, ხოლო ნანა ზურაბაშვილმა (ბიბლიოგრაფი) კი მთელი თვის ხელფასი გადარიცხეს.

ნურც მოშლოდეთ ერთსულოვნება და ენთუზიაზმი ქარელის კულტურის მუშაკებს!

**ქეთევან კაკაშვილი,**
ქარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამ შემოდგომაზე პარიზში გაიმართა მსოფლიო მოდის ფესტივალი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის შემადგენლობაში იყო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდების ჟურნალის რედაქტორი ლელი ხვედელიძე.**
**ქვემოთ ვაქვეყნებთ მასთან საუბარს.**

# სილამაზის, მშვენიერების დღესასწაული



— ეს ფესტივალი მეორედ გაიმართა და კვლავ — პარიზში...

**— დიახ, და ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან დღეს, მართალია, მრავალი ქვეყანა ცდილობს მზა ტანსაცმლის ბაზარზე მეტოქეობა გაუწიოს საფრანგეთს, საკუთარი სიტყვა თქვას თანამედროვე მოდის განვითარებაში (ასეთი ქვეყნებია გფრ, იტალია, აშშ, იაპონია, ესპანეთი), მაგრამ მოდების მსოფლიო დედაქალაქად ისევ და ისევ პარიზი რჩება თავისი სახელგანთქმული, უმაღლესი კლასის ფირმებით, როგორიცაა დიორი, ივ სენ ლორანი, ნინა რიჩი, უნგარო, შანელი, პიერ კარდენი. უკანასკნელ ხანს ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს ავანგარდისტულმა ჯგუფებმაც, რომელთა შორის გამოირჩევიან შანტალი, კენზო, ვალენტინო, შაპარელი, სონია რიკელი და სხვები.**

— როგორც ცნობილია, წელს ეს ფესტივალი დაემთხვა ეგრეთწოდებულ „სალონს“ — მოდების სეზონურ დათვალიერებას, რომელიც, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება ხოლმე პარიზში. იქნებ, ჯერ ამ მოდის კვირეულზე გვესაუბრა? რამდენი წაგვიკითხავს იმის თაობაზე, თუ როგორ გასაიდუმლოებულ ვითარებაში ამზადებენ ფირმები თავიანთ ახალ კოლექციებს.

**— სამაგიეროდ, რა ფართო რეკლამა უკეთდება მერე ამ კოლექციებს „სალონის“ დღეებში... მოდელების სეზონური დათვალიერება პორტ დე ვერსალის პარკის საგამოფენო დარბაზებში მოეწყო და მასში ყველა ფრანგული ფირმა მონაწილეობდა. როგორც ყოველთვის, მას ახლაც ესწრებოდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც აქ ეცნობიან ხოლმე ახალ იდეებს, იძენენ ახალ მოდელებს, უკვეთავენ ტანსაცმლის პარტიებს. მოდა საფრანგეთის ეკონომიკის უმძლავრესი ბერკეტია და მის გავლენას ემორჩილება არა მარტო სამკერვალო, არამედ საფეიქრო დარგიც, გალანტერეა, პარფიუმერია, აქსესუარების წარმოება. „სალონის“ დღეებში პარიზი მოდით ცხოვრობს. სატელევიზიო და რადიოგადაცემათა, საგაზეთო პუბლიკაციათა დიდი ნაწილი მოდას ეთმობა.**

— ჩვენ მკითხველ ქალებს უთუოდ აინტერესებთ, რა სიახლეებს სთავაზობენ ფრანგი მემოდელეები ამ სეზონში, როგორ აცვიათ პარიზელ ქალებს.

**— ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ ეს ორი კითხვა ადეკვატური არ გახლავთ. მოდით, ჯერ მოდის სიახლეებზე ვისაუბროთ, მერე კი პარიზელი ქალების ჩაცმულობაზე.**

**უმთავრესი სიახლე ის გახლავთ, რომ კაბების სიგრძე მკვეთრად დამოკლდა. ახალგაზრდული მოდა მინი სიგრძის რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს — უმოკლესიდან — მუხლისთავამდე. ოღონდ ზედა ტანსაცმელი — პალტო და პლაში კვლავაც გრძელი რჩება — მინი და მაქსი სიგრძისა. ავანგარდისტი მხატვარი მემოდელეები ამ სეზონში საერთოდ მხოლოდ მინი სიგრძეს ცნობენ. მათი მემანეკენე გოგონები 16-17 წლისანი არიან. არავითარი კოსმეტიკა, არავითარი სამკაული — ასეთია ამ მემოდელეთა დევიზი!**

**რაც შეეხება ეგრეთწოდებული კლასიკური მიმართულების უფროსი და საშუალო სკოლის მხატვარ-მემოდელეებს, ისინი ყოველგვარ სიგრძეს გვთავაზობენ, მაგრამ მათ კოლექციებშიც მთავარი ტენდენცია დამოკლებისკენაა. „ელეგანტური“ ასაკის ქალებს ქვედატანი მუხლს უფარავს.**

— ტანსაცმლის ფორმა, სილუეტი? ფეხსაცმელი?

— წამყვანი სილუეტია ტანზე მოყვანილი სწორი კაბა და კოსტიუმი მიკერებული სახელოთი, მცირე ზომის სამხრეებით. ტრადიციული ფირმები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ წინა სეზონების ტანსაცმლის ზოგიერთ ელემენტს. მათ კოლექციებში კიდევ გვხვდება გაგანიერებული მხრებიც, ფართო სახელოც ღრმად ამოჭრილი იღლიით, მაღალი ან საშუალო სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმელი. მაგრამ უპირატესობა სწორ ფორმას, ტანზე მომდგარ ტანსაცმელს, მიკერებულ სახელოს და უქუსლო ფეხსაცმელს ენიჭება. ყველაზე მოდურად შტიბლეტის ტიპის, ღრმად დახურული, სრულიად უქუსლო (ჩვენ რომ უძიროებს ვეძახით) ფეხსაცმელი ითვლება. მოდაშია აგრეთვე ნავისებური ამოჭრილი საშუალო ქუსლიანი ფეხსაცმელი.

— რა ფერებია მოდაში?

— ფერების გამა ფართოა: შავი, თეთრი, წითელი, მოოქროსფრო ყვითელი, მდელოსფერი მწვანე, სხვადასხვა ტონის ვარდისფერი, მუქი ლურჯი და ნეიტრალური ფერები — რუხი ფერისა და ბეჟის სხვადასხვა ტონალობები. ქსოვილების ფაქტურიდან განსაკუთრებით ორია მოდაში — დიაგონალური და ტილოს ნაქსოვი. ძალიან მოდურად ითვლება ქსოვილები როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური, სხვადასხვა რიტმისა და სიგანის ზოლებით. მოდაში კვლავაც რჩება კუბოკრული ქსოვილი. ზაფხულის საკაბეები წვრილი მინდვრის ყვავილებით, პატარა თაიგულებით ან აბსტრაქტული ლაქებით არის მოჩითული. ახალი ბუმი დაუდგა ჯინსის ქსოვილს. კვლავ შემოვიდა მოდაში ტყავი, ნატი და, ჩანს, ეს მასალა არაერთხელ შეგვახსენებს თავს, რადგან უაღრესად პრაქტიკულია, ზედგამოჭრილია ჩვენი საუკუნისათვის. იგივე შეიძლება ითქვას სპორტულ ტანსაცმელზეც, რომელსაც, როგორც ეტყობა, ყავლი არასოდეს გაუვა. სხვათაშორის, ახლა ძალიან პოპულარულია ბლეიზერი — მამაკაცური ტიპის კოსტიუმი, მაგრამ ამჯერად იგი ორბორტიანია, ტანზე მჭიდროდ მომდგარი.





— ახლა წელანდელ შეკითხვაზე გვიპასუხეთ.

— რა აცვიათ პარიზელ ქალებს? — ყველაფერი, ვისაც რა უნდა, ნებისმიერი სიგრძისა და სილუეტის. პარიზელი ქალი (მე ე. წ. საშუალო დონის, მოსამსახურე ქალებს ვგულისხმობ) პრაქტიკულობით და მომჭირნეობით გამოირჩევა. მოდის ჭირვეულობას ადვილად არ აყვება და დაუნანებლად არ გადაისვრის წინა წლებში შეძენილ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. მაგრამ რა ოსტატურად უხამებს ყველაფერს... პარიზელ ქალს სხვა ძვირფასი თვისებაც აქვს, რომელმაც ასე საქვეყნოდ გაუთქვა სახელი: დახვეწილი გემოვნება, ტანსაცმლის ტარების განუმეორებელი მანერა, ელეგანტურობა... პარიზში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წელს განსაკუთრებით ბევრი გვხვდებოდა თავიდან ფეხამდე შავებში გამოწყობილი ქალი. ქურები ლამის წაელეკა შავი ფერის კომპლექტებს.**

— დრო იყო, ჩვენთან ჩამოსული უცხოელები შეწუხებული კითხულობდნენ: რატომ არის თქვენს ქალაქში ამდენი „მგლოვიარე" ქალიო...

**— დიახ, ეს ფერი ჩვენი ქალების საყვარელი ფერია, მაგრამ დღეს, ხომ ხედავთ, ამ სიყვარულში არც უცხოელები გვიდებენ ტოლს.**

—ახლა მოდების მსოფლიო ფესტივალზე გვიამბეთ.

**— იგი ღია ცისქვეშ გაიმართა, შაიოს სასახლის წინ, ტროკადეროს მოედანზე. გრანდიოზული სანახაობა იყო. ფიცარნაგზე, რომელსაც მთელი პროსპექტი ეკავა, მოედინებოდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ოცდაორ ქვეყანაში შექმნილი ტანსაცმლის ხელოვნების ნამდვილი შედევრები. 900 ფრანგი მემანეკენე აჩვენებდა ამ მოდელებს. ყველა ჯგუფს თავისი ქვეყნის დამახასიათებელი ატრიბუტი მოუძღოდა. საუდის არაბეთს — აქლემების ჯოგი, ამერიკის შეერთებულ შტატებს — ცინცხალი ლიმუზინები. თანხმლები მუსიკაც ყველას თავისი ჰქონდა: საბერძნეთის მოდის დემონსტრაციას „სირტაკის" მელოდია ახლდა, ესპანეთისას — ფლამენკოს მგზნებარე რიტმები, ამერიკისას — ელვის პრესლის სიმღერა.**

**ღამის ათი საათიდან პირველ საათამდე გაგრძელდა ეს მშვენიერი დღესასწაული, გამსჭვალული მეგობრობის, მშვიდობის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მოდა ხომ თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია — მის ძლევამოსილ მსვლელობას ვერც ზღვები და ოკეანეები ელობება, ვერც სასაზღვრო ჯებირები.**

— წელს მსოფლიო ფესტივალში საბჭოთა კავშირიც მონაწილეობდა.

**— დიახ, ეს ჩვენი ქვეყნის პირველი გამოსვლა იყო. და მართალია, ჩვენი კოლექცია შედარებით მცირე იყო — 25 მოდელისაგან შედგებოდა, მაგრამ ინტერესი კი დიდი გამოიწვია. ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ამბავი, რომ საბჭოეთში შეკერილი სალამოს კაბები არაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიო მოდის საუკეთესო ნიმუშებს.**

**სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი გამოსვლა მოდების საერთაშორისო ფორუმზე ფეხბედნიერი გამოდგა. საფრანგეთის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფესტივალში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის თვით ფაქტს უწოდეს ღირსშესანიშნავი მოვლენა და შეაფასეს როგორც საბჭოთა კავშირის მიერ კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი სხვა ქვეყნებთან დაახლოების, კონტაქტების განმტკიცების გზაზე.**

საუბარი ჩაიწერა
ნანული ბარათაშვილმა.

უმწვავესი პრობლემა

# რაც საზოგადოებრიობის ყურადღებას მოითხოვს

Თანამედროვე მსოფლიოში განგაშია ატეხილი ახალგაზრდებში მორალის დაცემისა და აქსელერაციის საკითხებზე. დადგენილია, რომ ახლა სქესობრივი მომწიფება 3-5 წლით ადრე იწყება, ვიდრე მეორე მსოფლიო ომამდე, რასაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ხელს უწყობს დასავლეთის კინოფილმები, ტელევიზია, პორნოგრაფია და სხვა. სამწუხაროდ, დასავლეთის ეს გავლენა ჩვენს მოზარდებზე და ახალგაზრდობაზეც ვრცელდება. ჩვენს სკოლებში სწავლების მეთოდიკა კი ამ პრობლემას ვერაფერს უპირისპირებს, რადგან ის მოზარდთა ზნეობრივი აღზრდისა და სქესობრივი ცხოვრების ფსიქო-ჰიგიენის საკითხებს სრულიად არ ითვალისწინებს. ჩვენს მიერ ანკეტური გამოკითხვით მიღებულია ცნობები. კერძოდ, გამოკითხულ მოსწავლეთა 75 პროცენტი სქესის საკითხებზე ინფორმაციას გამოცდილი, ცუდი ყოფაქცევის უფროსი ამხანაგებისაგან ღებულობს, 12 პროცენტი — პედაგოგებისაგან, 8 პროცენტი — სამედიცინო პერსონალისაგან და 5 პროცენტი — მშობლებისაგან. ეს ფაქტობრივი მასალა უფლებას გვაძლევს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მოზარდებისა და ახალგაზრდების ზნეობრივ-მორალური, იდეურ-ესთეტიკური და სქესობრივი აღზრდის საქმე მკვეთრ გარდაქმნას საჭიროებს. აქსელერაციის პრობლემაც ამას თავის მხრივ გადაუდებლად მოითხოვს, რადგან ყოვლად დაუშვებელია, მოზარდის ფსიქო-სექსუალურ ორიენტაციაში წამყვანი როლი თვითცნობიერებას დაეთმოს. ახალგაზრდობამ რომ თავისი ქცევები და გრძნობები განაგოს, ის კარგად, საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში. ისიც ხომ უდავოა, რომ სქესობრივი ცხოვრების კულტურა საზოგადოების კულტურის, ადამიანის სოციალური ქცევის ერთ-ერთი ასპექტია, ხოლო სქესის საკითხების უვიცობა, მისდამი უგუნური დამოკიდებულება საზოგადოების ჯანმრთელობას და მის მომავალს ემუქრება. ადამიანის ნებისყოფით დამორჩილებული და სწორად წარმართული გრძნობები ბედნიერების წყაროდ იქცევა, ხოლო სქესობრივი ლტოლვისადმი უგუნური დამოკიდებულება უბედურების მომტანია, ანტისოციალური, არაჯანსაღი და დასაგმობია. ახალგაზრდობის სქესობრივი აღზრდის საქმე, ანუ სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ გონივრულად განაგონ ახალგაზრდებმა თავიანთი გრძნობები, გადაუდებელ მოგვარებას მოითხოვს. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით პრაქტიკაში დაუყოვნებლივ უნდა დაინერგოს ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება: კერძოდ, ყოველი ლექტორი და პედაგოგი, ლექციას და გაკვეთილს ზნეობრივი მორალის საკითხებზე საუბრით უნდა იწყებდეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველას არა აქვს პედაგოგობის მორალური უფლება. ბოლო წლებში ჩვენს პრაქტიკაში არც ისე იშვიათია პედაგოგების ვენერიული სენით დაავადების შემთხვევები და ალბად დამეთანხმებით, თუ რა მძიმე მოსასმენია ათაშანგით დაავადებული 16 წლის ამორალური ქცევის გოგონასაგან, რომ ის ამ მოლიპულ გზას 14 წლის ასაკიდან დაადგა პირველად მის პედაგოგთან ინტიმური კონტაქტის შემდეგ.

როგორც ცნობილია, ამორალობა და უზნეობა, უწინარეს ყოვლისა, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული და არავენერიული დაავადებების გავრცელებას განაპირობებს. რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ 1986 წლიდან საქართველოში ვენერიული სენით ავადობა მატულობს და მისი მაჩვენებლებით რესპუბლიკა კავშირში პირველ ადგილზეა. შექმნილი დაძაბული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მხოლოდ ამ ორ დაავადებას როდი ეხება. ჩვენ დიდ შიშს გამოვთქვამთ იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა კავშირში ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნება მეოცე საუკუნის შავი ჭირის — შიდსის და ვირუსული ჰეპატიტის, პერიჰეპატიტის,

ქლამიდიოზის, (რაც 40-50 პროცენტი უნაყოფობის მიზეზი ხდება) და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების გავრცელებაში, რადგან ამ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და გავრცელების გზები ერთი და იგივეა. შიდსის შემოტანის საშიშროებას ჩვენში პროსტიტუციის, ნარკომანიისა და ჰომოსექსუალიზმის გავრცელებაც აძლიერებს.

აქვე მინდა მოვიტანო მეცნიერების ერთი უახლესი დაკვირვება. დადგენილია, რომ შიდსის ვირუსი არა მხოლოდ იმუნურ სისტემას, არამედ ნერვულ უჯრედებსაც აზიანებს. უცხოეთში აღწერილია შიდსის ისეთი ფორმა, რომელიც ინფიცირებიდან ერთ თვეში სრულიად არღვევს ადამიანის ინტელექტს დებილის დონემდე. ამიტომ არის შიდსის პრობლემა ამჟამად უმწვავესი მთელ მსოფლიოში. შიდსის გავრცელების ტემპი საბჭოთა კავშირშიაც მატულობს. ა/წლის ივნისის თვისათვის კავშირში აღრიცხვაში იყო 84 შიდსით დაავადებული, აქედან ადგილობრივ მოსახლეობაში 2 ოქტომბრისათვის 165 ავადმყოფი და ვირუსის მატარებელი. მათ შორის 28 საბჭოთა მოქალაქე, დანარჩენი კი უცხოელები.

არც ვენერიული დაავადებები შემოიფარგლება მხოლოდ შარდ-სასქესო ორგანოების დაზიანებით, ის მთელ ორგანიზმში ვრცელდება და აზიანებს სხვადასხვა ორგანოებს და ნერვულ სისტემას. უპირველესად ეს ინფექციები ავადმყოფთა ნეგატიურ ემოციებს იწვევს, რაც ოჯახური უსიამოვნების მიზეზი ხდება. ავადმყოფი დედისაგან ინფექცია ნაყოფზე გადადის და ახალშობილი დაავადებული გვევლინება. მამაკაცებში ვენერიული დაავადებები ხშირად სექსუალური დარღვევებით რთულდება.

საქართველოში ვენდაავადებათა მაჩვენებლები საშუალო საკავშიროს ყოველთვის აღემატებოდა, მაგრამ მოზარდთა შორის დაავადების მხოლოდ ერთეული შემთხვევები ვლინდებოდა, 1986-87 წწ. კი მათი ხვედრითი წილი მატულობს. მეტად ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დაავადებები არა მხოლოდ ქალაქებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მეცხრე-მეათე კლასებში, არამედ სოფლის სკოლის მეხუთემეექვსე კლასებშიც კი გამოვლინდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში მატულობს ამორალურ-პარაზიტული ქცევის, შინიდან და სკოლიდან გაქცეულ-მოხეტიალე პირთა რიცხვი.

ვინ წარმოიდგენდა, რომ XX საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩვენ მოგვიხდებოდა საჯაროდ ლაპარაკი და წერა იმ ქართველი ქალის ამორალობაზე და ზნეობრივ დაცემაზე, რომელიც საქვეყნოდ იყო განთქმული და გამორჩეული თავისი ეროვნული თვისებებით, ქალური მანდილის ღირსებით, კდემამოსილებით, მაღალი ზნეობით და მორალით, ოჯახის ერთგულებით, უზენაესი პატიოსნებით და სულიერი სისპეტაკით. ძნელია საჯაროდ ქართველი ქალის ამორალობაზე საუბარი, მაგრამ ფაქტები ჯიუტია და მით უფრო ვეღარ დავდუმდებით, როცა ისინი საკმაოდ დაგვიგროვდა. ვფიქრობთ, უკვე არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი — ვთქვათ თუ არა. ზოგს მიაჩნია, თუ აქამდე „არ ვამბობდით და ვმალავდით, ახლაც უთქმელობა სჯობსო". როდემდე? „ჭირმა თავი არ დამალაო", ახლა არ თქმა უსაფუძვლოა! მთელი პასუხისმგებლობით, გულახდილად ვაცხადებ, რომ ჩემი 40 წელზე მეტი საექიმო მოღვაწეობის პერიოდში ჩვენს პრაქტიკაში არ მინახავს ის, რასაც ბოლო სამოთხ წელში ვხედავთ. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ ეს მოსახლეობას დავუმალოთ, რადგან იმედი გვაქვს საზოგადოების აქტიური პოზიცია დაგვეხმარება ჩვენი ერისა და საზოგადოებრიობისათვის სრულიად შეუფერებელი და დაუშვებელი ნეგატიური მოვლენებისაგან განწმენდაში.

ლუბა შეწირული,
პროფესორი.

იურიდიული კუთხე

# გვეკითხებიან-ვუპასუხებთ

კითხვა: — მყავს ხუთი შვილი, მათ შორის ორი ტყუპი (1980 წელს დაბადებულნი), ბინის მიღების აღრიცხვაზე ვართ მრავალშვილიანთა სიით, მომეცემა თუ არა ბინა ურიგოდ?

პასუხი: — საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 46-მუხლის 9-ე პუნქტით, ბინა პირველ რიგში ეძლევა აღრიცხვაზე მყოფ ოჯახებს ტყუპების გაჩენისას, მაგრამ ეს კანონი სამოქმედოდ მიღებულია 1983 წლის პირველი სექტემბრიდან. თქვენი ტყუპები კი დაბადებულნი არიან — 1980 წელს, ამიტომ თქვენს მიმართ ზემოთაღნიშნული კანონი არ გავრცელდება.

კითხვა: — სამი წელია ვიმყოფები რეგისტრირებულ ქორწინებაში, შვილი არ შემეძინა. ბუღალტერია ხელფასიდან მიკავებს უშვილობის გადასახადს. რამდენად კანონიერია მათი მოქმედება?

პასუხი: — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 13 იანვრის ბრძანებულებით, 1987 წლის 1 თებერვლიდან: უცოლო, მარტოხელა და მცირე ოჯახის მქონე მოქალაქეები განთავისუფლებული არიან უშვილობის გადასახადისაგან რეგისტრირებული ქორწინებიდან მხოლოდ ერთი წლის ვადით. აღნიშნული კანონის მიხედვით ბუღალტერია სწორად გარიცხავთ უშვილობის გადასახადს.

კითხვა: — ვარ დიასახლისი. მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, მათგან უმცროსები ტყუპები არიან — ცხრა თვისანი, ხუთ თვეში მეოთხე შვილიც მეყოლება. ჩემი მეუღლე ტრაქტორისტად მუშაობს მეურნეობაში. შვილების შეძენისას სასოფლო საბჭომ არ მომცა დახმარება, ვინაიდან არ ვმუშაობ. გთხოვთ განმიმარტოთ, ამ შემთხვევაში მერგება თუ არა სახელმწიფო დახმარება, რა რაოდენობით და ვისგან?

პასუხი: — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 ივნისის დადგენილებით: როდესაც ჩვილშვილიანი ქალი დიასახლისია, მაგრამ ბავშვის მამა მუშაობს, შვილებისათვის ერთდროული დახმარება უნდა გაიცეს ბავშვის მამის სამუშაო ადგილის მიხედვით. თანხის რაოდენობა პირველ, მეორე და მესამე შვილზე განისაზღვრება თითოეულ ბავშვზე 80-მანეთით.

დიასახლის დედას მეოთხე შვილის შეძენისას ერთდროული დახმარება ეძლევა სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: — მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, მათგან უმცროსი ორი წლისაა, ამიტომ მეორე ცვლაში მუშაობა მიჭირს. მოცემულ შემთხვევაში დირექცია ვალდებულია თუ არა სამუშაოდ გადამიყვანოს პირველ ცვლაში.

პასუხი: შრომის კანონთა კოდექსის 166-მუხლის შესაბამისად, იმ საწარმოებში და ორგანიზაციებში, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალის შრომა, აქვთ საბავშვო ბაგა-ბაღები. ამიტომ დირექცია ვალდებული არ არის სამუშაოდ პირველ ცვლაში გადაგიყვანოთ, მაგრამ უფლება აქვს შესაძლებლობის ფარგლებში დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა.

თამარ ფალავა,
იურისტი.



## ნუგბარი საახალწლო სუფრისათვის

გოზინაყი საახალწლო ქართული სუფრის მშვენებაა, მით უფრო, თუ თეთრი, მშრალი და მსხვრევადია; ზოგი დიასახლისი სინანულით იტყვის ხოლმე, — ძალიან მოვინდომე, მაგრამ მაინც რბილი გამომივიდაო. ზოგი ფერს უწუნებს, მუქიაო, ზოგი, — ოჰ, რა მნიშვნელობა აქვს რბილია თუ მაგარი, თაფლი და ნიგოზი ერთად მაინც გემრიელიაო. დიახ, თაფლი და ნიგოზი ერთად გემრიელია, მაგრამ გოზინაყი მაინც ისეთი უნდა იყოს, თვალსაც გტაცებდეს და გემოც სასურველი ჰქონდეს. ამისთვის კი მონდომება და ცოტა მეტი დროა საჭირო. დრო კი...

ძვირფასო ქალებო! თავადაც მოგეხსენებათ, გოზინაყი დიდხანს ძლებს. ამიტომ 31 დეკემბერს ზედმეტად რომ არ გადაიღალოთ, რამდენიმე დღით ადრე შეუდექით საახალწლო სამზადისს.

# გოზინაყი

**მასალა:** 1 კილო თეთრი ნიგოზი, 800 გრამი თეთრი თაფლი, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი.

**მომზადების წესი:** მჭრელი დანით ძალიან თხლად (სიფრიფანად) დაჭერით ნიგოზი, მოათავსეთ გაზქურის დიდ ტაფაზე და შედგით წინასწარ ძლიერ გახურებულ და მერე ჩამქრალ გაზქურაში. გაზქურა რომ გაცივდება, გამოიღეთ ტაფა (გაზქურა თავიდან აანთეთ რომ გახურდეს) და ნიგოზი რომ შეგრილდება სულის შებერვით კანები მოაშორეთ, თან ნაზად აურიეთ ქაფქირით ან ბრტყელი დანით. თუ დაატყობთ, რომ კანები მთლიანად არ მოშორდა, კვლავ შედგით გახურებულ ღუმელში და გაიმეორეთ ისევე, როგორც პირველად.

**თაფლის მოყვანა ანუ მოწევა:** ბრტყელძირიან ქვაბში ან სპეციალურ საგოზინაყე ტაფაზე მოათავსეთ თაფლი, დადგით ძალიან ნაზ ცეცხლზე (ძლივს რომ ბჟუტავდეს, თორემ თაფლი სწრაფად აქაფდება და გაშავდება) და გამუდმებით ურიეთ ხის კოვზით. თაფლის მოყვანას საათნახევარი, ზოგჯერ ორი საათიც სჭირდება; მოყვანის შუა პროცესში ჩაყარეთ შაქარი და კვლავ გამუდმებით ურიეთ. რომ გაიგოთ მოყვანილია თუ არა თაფლი, ცივწყლიან ჭიქაში ჩაუშვით რამდენიმე წვეთი და მაშინვე ამოიღეთ. თუ კარამელივით ხრაშუნა იქნება, თაფლი მოყვანილია. მოყვანილ თაფლში ნელნელა ჩაყარეთ ნიგოზი, მოხერხებულად და ენერგიულად აურიეთ (2-3 წუთის განმავლობაში), სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, თანაბრად გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით.

ა. ლებანიძე

* * *

თუ სურვილი და საჭირო მასალა გექნებათ, შემოგთავაზებთ აღმოსავლური გოზინაყის მომზადების წესსაც,რისთვისაც საჭიროა: 9 კვერცხი, 1 კილო ერბო ან $1^1/_2$ ლიტრი ზეთი (უმჯობესია ზეითუნის), 2 ჩაის ჭიქა თაფლი, უმაღლესი ხარისხის ფქვილი, 2 ჩაის ჭიქა თხლად დაჭრილი კანგაცლილი ნიგოზი, ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი, 1 ჩაის კოვზი კონიაკი ან არაყი, დანის წვერით მარილი და დანის წვერით სოდა.

ცხრა კვერცხს (ცილიან-გულიანა) დააყარეთ სოდა, მარილი, დაასხით კონიაკი, ათქვიფეთ ძალიან კარგად, შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ საშუალო სირბილის (გაბრტყელება რომ ადვილად შეიძლებოდეს) ცომი, გაყავით ოთხ ტოლ ნაწილად და თითოეული გააბრტყელეთ (ისე, როგორც „ნაპოლეონის“ ცომს აბრტყელებთ ხოლმე) ძალიან მონდომებით. გაბრტყელებული ცომი დაჭერით ორი სანტიმეტრის ან საჩვენებელი თითის სიბრტყეზე გრძლად, ზონარებივით. შემდეგ „ზონარები“ დაჭერით პატარა ნაჭრებად (დაახლოებით „ბალიში“ კონფეტების ზომაზე) და ჩაყარეთ ადუღებულ ერბოში. (ერბო მოათავსეთ ბრტყელძირიან განიერ ქვაბში და დადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე) იმდენი, რომ ქვაბის ძირი დაიფაროს. ცომი დაიბერება და ოდნავ რომ შევარდისფერდება (არ გაყავისფერდეს), ამოიღეთ ქაფქირით, მოათავსეთ თასზე და განაგრძეთ დანარჩენი ცომის მოშუშვა. რომ მოამთავრებთ, შეუდექით თაფლის მოყვანას. (თაფლის მოყვანას აქ უფრო ნაკლები დრო სჭირდება).

ორი ჭიქა თაფლი მოათავსეთ ბრტყელძირიან ქვაბში, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და წამოადუღეთ (თან ურიეთ ხის კოვზით). თაფლი როგორც კი ოდნავ ფერს შეიცვლის, ჩაყარეთ შაქარი და კვლავ ურიეთ მის გადნობამდე. როგორც კი შაქარი გადნება, ჩაყარეთ ერთმანეთში არეული ნიგოზი და ცომის „კანფეტები“ და კვლავ კარგად აურიეთ ისე, რომ ყველაფერი ერთმანეთს შეუერთდეს. მიღებული მასა გაყავით ორად, სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ ცხიმწასმულ ორ ლანგარზე ან გაზქურის ტაფებზე, გააბრტყელეთ წყალში დასველებული ხელით და დაჭერით ისევე, როგორც ჩვეულებრივი გოზინაყი.

მ. კირტავა,
ქუთაისი.

## ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1987 წლის ნომრების შინაარსი:


№ 1

პროზა, პოეზია:

დ. ფიროსმანაშვილი — სამურაბე კაკალი, — მოთხრობა.
მ. მაჰავარიანი, მ. ფოცხიშვილი,
მ. ციხელაშვილი, დ. ზურაბაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

წელი 1987 — მოწინავე წერილი.
რ. ჩარკვიანი — დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით.
ი. კუკავა — შეიძლება დედა დაგიძახო?!
გ. გამრეკელი — ოთხგზის ჩემპიონი.
დ. ბედენიძე — ადამიანი საქმით ფასობს.
ე. ჯაფარიძე — დიდი ოჯახი.
ვ. ჩეკურიშვილი — უწერლების რძალი.
ზ. მერკვილაძე — სილამაზის მსახური.
ნ. კილასონია — ბალახის სიმღერა.
ნ. ბუკია — ახალგაზრდა დედათა კლუბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ფრუიძე — ვის დავუტოვოთ ბავშვი?
ო. რევია — ქალია ის თუ კაცი...

№ 2

პროზა, პოეზია:

მ. მამულაშვილი — არჩევანი, მოლოდინი, — მოთხრობები.
მ. მელაძე — „ყაყაჩოების გვირგვინი“, — მოთხრობა.
ჯ. გაბუნია, ა. გელოვანი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. ჯორბენაძე — გლდანულა.
მ. გორგილაძე — შრომა დაუფასდა.
ე. ბილანიშვილი — ღირსეული ხელმძღვანელი.
ლ. ქინქლაძე — მსოფლიო ბაზარზე გასატანად.
ა. მარგველაშვილი — რასაცა გასცემ, შენია.
თ. ბუაჩიძე — ქართველი ქალებისადმი.
მ. გოცირიძე — ახალი ცხოვრება.
ლ. შოგირაძე — ფრონტული სურათები.
ო. დადიანი — მოწოდებას საქმით უპასუხებენ.
მ. ჩხეტიანი — ვინ იმკის, რაც ჩვენ დაგვითესია.
ლ. შეწირული — ფერიმჭამელა.

№ 3

პროზა, პოეზია:

შ. დელბო — ლილი — მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა როენა ყენიამ
ნ. წითელაური, ლ. სტვილია — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ც. ჯაფარიძე — სადღეისო ამოცანები.
ე. ლებანიძე — ფერისცვალება.
რ. გრიგოლია — ერთგულება.
ლ. კაკაბაძე — და მიჰქონდათ დროშები მაღლა!
მ. გაჩეჩილაძე — ილიას იუბილეს იმედით.
ლ. თაბუკაშვილი — კვლავაც მღეროდეს ფუნჯი.
მ. მაზიაშვილი — საყვარელ ქუჩაზე, საყვარელ თეატრში.
თ. კობალაძე — ხეები ზეზეურად კვდებიან.
დ. დონაძე — რა საოცარი ფერებია...
შ. ამონაშვილი — უდანაშაულო.
ნ. ბეზარაშვილი — ჩემი სტუმარი.
მ. ბარათაშვილი — გმირობისა და მეგობრობის დიდი გამოცდა.
ზ. მესხენბისერი — „ჭირთა უჭირესი“.

№ 4

პროზა, პოეზია:

მ. ჩივაძე — შეხვედრა, — მინიატურა.
გ. გიგაური, ა. კალაძე, ნ. სოსანაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

თ. ცხვედიანი — ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი რევოლუციონერი ქალები.
ნ. მოხევიშვილი — კომუნისტი.
ვალ. მჭედლიშვილი — ორმოცი წელი გაილია.
რ. გრიგოლია — რაციონალიზატორი.
მ. ჭიჭიაშვილი — როგორ გვესახება გარდაქმნა.
მ. დარსაძე — ერთობლივი საზრუნავი.
მ. პაპუნაშვილი — სანამდე ვიყოთ ასე?!
მ. თომაძე — კეთილ საქმეთა მსახური.
ნ. ბერიაშვილი-სამყურაშვილი — ქალებზე უთქვამთ...
გ. ნოზაძე — სუფრას კაცი უნდა ამშვენებდეს.
მ. მესტიაშვილი — მოზარდი და თამბაქო.
ნ. ლვინეფაძე — სნეულთ მლხენელი“.
ნ. ბუკია — „ვარაზი“ გვთავაზობს.
ო. დადიანი — „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...“

№ 5

პროზა, პოეზია:

დ. გულისაშვილი — ამალია, — მოთხრობა.
მ. მაისურაძე, ლ. ფირცხალავა, ნ. ლეშკაშელი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

გ. ვაშაკიძე — „დღეს რა შორსა ვართ იმ ნაპირიდან“.
ს. მერკვილაძე — სურნელოვანი ტყიბულის ჩაი.
ი. მაკურინი — ამერიკელი ქალები მშვიდობისათვის ბრძოლაში.
ნ. ჩალაური — ჟურნალისტი.
ნ. გიორგაძე — პოლიგრაფისტი.
ვ. ცირეკიძე — ფოსტალიონი.
ნ. კილასონია — მოგონებების ერთი საღამო.
ი. ესვანჯია — სხივი მადლისა.
ი. კუკავა — ასე ოსტატდებოდა.
ი. მესხი — მაესტრო ნინო.
შ. ამონაშვილი — ბავშვები და საოჯახო ბიუჯეტი.
მ. ფიჩხაძე — სპექტაკლის მგზნებარე პათოსი.
ე. ჯაფარიძე — ძალა ქალისა.
ლ. ჭანკოტაძე — დედა.
ი. მესხი — ავი დედინაცვალი.
ლ. ხვედელიძე — გაბრიელ შანელი, ივ სენ-ლორანი.

№ 6

პროზა, პოეზია:

რ. აპიცი — მე არ ვიქნები კალვაიტი, — მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა ნ. ქლენტმა.
მ. ბარათაშვილი, გ. წერეთელი, ე. ბაქრაძე, ლ. თარალაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. გორგილაძე — სიყვარულს უშენებია.
გ. კენჭოშვილი — სიახლეები ბავშვთა პოლიკლინიკაში.
ი. ჩოფიკაშვილი — სილამაზისა და ფანტაზიის გაკვეთილები.
დ. ბიწაძე — თხუთმეტი ძმის ერთი და.
თ. კონჯარია — რა სტიქია მოერევა.
ნ. ბუკია — დიდი ოჯახის შთამომავალი.
ქ. სახვაძე — კომუნისტური შრომის საწარმო.
დ. გოგატიშვილი — მებრძოლთა მხარდამხარ.
ს. ტაბლიაშვილი — ჩვილ ბავშვთა კვება.
ალ. ჩხეიძე — მარია პერინი.
ლ. ფრუიძე — ნაბოლარა.
ვ. მოდებაძე — მნიშვნელოვანი ათი წელი.
ლ. იანვარაშვილი — თელავის საქალებო სკოლა.

№ 7

პროზა, პოეზია:

ნ. წულეისკირი — რატი, — მოთხრობა.
ლ. სვანიძე — ერთ საღამოს, — მინიატურა.
დ. ბედიანიძე, შ. ჩირაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. კაკაბაძე — მზის ბურთები.
მ. გორგილაძე — სხალთელები.
კ. კობერიძე — კეთილი მოლოდინი.
ნ. ჩირაძე — მარიამ ბოჭორიძე.
ლ. გიორგაძე — რაც ჩაგანძულა გულს შიგნი...
ლ. ესართია — ...და იშვა ქალაქი.
ე. ჯაფარიძე — ერის სულიერი საგანძური.
გ. ლოგუა — ვის დავუტოვოთ ბავშვი?
მ. მჭედლიშვილი — რაც დედას ევალება.
თ. გომართელი — ეკატერინე გაბაშვილი.
გ. გამრეკელი — ზეიმობს სინატიფე, გრაციოზულობა.
გ. ცქიტიშვილი — ბეწვზე გადარჩენილი სიცოცხლე.

№ 8

პროზა, პოეზია:

რ. მიშველაძე — ცდუნება, — მოთხრობა.
ნ. კილასონია, ა. დიდებაშვილი, მ. ზაზიკაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ნ. ჯავახიშვილი — ქალთა მსოფლიო კონგრესზე.
ზ. მერკვილაძე — „ეს სასწაულმოქმედი ქალები“.
ნ. არჩვაძე — წარმოება — სამეურნეო ანგარიშზე.
შ. ამონაშვილი — ცემა?! — დაუშვებელია!
ვ. გაგუა, ს. ლომთაძე — შვილები დედების შესახებ.
ნ. მგელაძე — ხილული მუსიკა.
მ. ზარიძე — თქვენ ისეთი კარგები ხართ...
ნ. კობახიძე — მისი გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჟვანია — დედის გული.
ნ. ბეზარაშვილი — თქვენი იმედით, ახალგაზრდებო!
მ. კობერიძე — იმარჯვებს „თელა".
თ. გოთუა — ზეიმი ზაკოპანეში.

№ 9

პროზა, პოეზია:

ქ. ელისაბედაშვილი — სინანული. — მოთხრობა.
მ. კერესელიძე, ე. ონიანი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ნ. ვასაძე — დედური გულითა და თბილი ხელებით.
ნ. გიორგაძე — მშვიდობის გაკვეთილი.
ვ. ოქროჯანაშვილი — დარიკო მასწავლებელი.
ხ. ახვლედიანი — მთელი სიცოცხლის მანძილზე.
ტ. ფარფალია — ღვაწლმოსილის დაფასება.
დ. ბიწაძე — ოჯახი იღებს იჯარას.
მ. ვაშაყმაძე — წინა ბჭე და ეზო კეთილობისა.
ი. კატუკია — ნოვატორული აზროვნება ეკონომიკის გარდაქმნის სფეროში.
ც. კეთილაძე — დედა, მამა, მამაჩემის ცოლი და მე.
ნ. კილასონია — შუქი ტალანტისა.
ლ. ბრძელიძე — ყოველ მაისს, ვარდობისას...
ე. გიორგაძე — ტოტი დალ მონტე.
ი. ზაქარიაშვილი — ალაშენა ასულმან ალმაშენებლისამან...
თ. მორგოშია — სიხარულის წუთები.
დ. მდივნიშვილი — ლენა გოკიელი.
ო. რევია — ასეთი ვაი სახლები.
ლ. კოტოვი — თანამედროვე ინდოელი ქალი.

№ 10

პროზა, პოეზია:

ლ. დადიანი — მინიატურები.
მ. ბარათაშვილი — წიწამურთან, — ლექსი.

ნარკვევები, წერილები:

ნ. სუდაძე — ილია — ერის ბერმუხა.
ნ. ბეზარაშვილი — მოჰირნახულე.
ც. მანჩხაშვილი — მარჯორი უორდროპის მეგობრობა ილიას ოჯახთან.
იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, იაკობ მანსვეტაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი — ქართველი მამულიშვილები ილიას შესახებ.
აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა — გამოსათხოვარი სიტყვები ილია ჭავჭავაძის ცხედარზე.
ე. ლებანიძე — ვაზის პირიმე, ვაზისა!
ლ. კაკაბაძე — უკან მობრუნებული წლები.
თ. ფოცხვერია — ენთუზიასტი.
პ. სარალიძე — განათლების სისტემა — რეალობა და პერსპექტივა.
მ. ბუზუკაშვილი — „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ".

№ 11

პროზა, პოეზია:

ლ. ჯაყელი, ქ. მოსეშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ნ. ჯაველიძე — კაცობრიობის გაზაფხული.
ე. ჯაფარიძე — გმირული წარსული.
ლ. კაკაბაძე — მოგონებანი შორეულ დღეთა...
რ. ნიკოლაძე — ლენინის ჩამოსვლა.
ი. ტატიშვილი — პირველი მშვიდობიანი ნოემბერი.
ქართველი მეცნიერი ქალები.
ნ. ჩირაძე — მისი ცხოვრების მიზანი; იგი ბელადს შეხვდა.
მ. გორგილაძე — იწერებოდა ისტორია.
შ. ამონაშვილი — მამა ვარ!
გ. გამრეკელი — კალათბურთის სასახლე.
ს. შაიშმელაშვილი — ნუ დავაშინებთ ბავშვებს!
ა. ძელგაძიანი — უარყავით სასმელი!
ლ. შეწირული — რამდენიმე სასარგებლო რჩევა.

№ 12

პროზა, პოეზია:

ს. მხარგძელი — დედაშვილობა. ნამდვილი ამბავი.
ლ. ნუცუბიძე, ქ. მჟავია, შ. მგელაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

რ. გრიგოლია — აირჩიეს დირექტორი.
მ. ჭიჭიაშვილი — აგრძელებს ოჯახის ტრადიციას.
ა. კალაძე — ქართული ლიტერატურის მთარგმნელი.
ი. ხმალაძე — რაც ყველას ევალება.
ი. კუკავა — „წიგნის დედა".
ა. ბებაშვილი — „გმადლობთ, ქალბატონო თამარ!"
ე. ბილანიშვილი — ახლის ძიებაში.
ი. ლორთქიფანიძე — ქართული ხელოვნების მოამაგე.
ო. რევია, მ. ზარიძე — მხოლოდ კეთილი ნებით.
ქ. კაკაშვილი — ამაგდარი.
ლ. შეწირული — რაც საზოგადოებრიობის ყურადღებას მოითხოვს.

ნომრებშია: კულინარული რეცეპტები, ფერად-ფერადი, მოდა, რჩევები, ჩვენ გვწერენ.

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის სართავი ფაბრიკის მხვეველი დალი აწკარუნაშვილი; მეოთხეზე — ზამთარი. დავით იაკობაშვილის ფოტოები.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ძ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 05.11.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.87 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.

 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58. ტირაჟი 160.000, შეკვ. 2633, უე 04904

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოდა





Ingrid,
AXELINE,
ants voile
OURGET,
u SALSA,
t'oreilles
OIRISTE,
SEDUCTA

Isa,
Ensemble
ANNIE GERARD,
collants voile
LE BOURGET,
escarpins



ფასი 80 კაპ.

ინდექს

